

ჩვენი ზეციური მფარველები

როგორ შევუჩიოთ სახელი ახალშობილს

შინაარსი

როგორ განადიდებს ღმერთი მართალთ	
მიწაზე და რა პატივს მიაგებს მათ ეკლესია.....	6
ღვთისადმი წმიდანთა ღლოცვის შესახებ.....	10
ძველი აღთქმის მოწმობანი	12
ახალი აღთქმის მოწმობანი.....	14
წმიდა გადმოცემის მოწმობანი	16
წმიდა წერილის მოწმობანი იმის შესახებ, რომ	
ჩვენ თაყვანს უნდა ვცემდეთ ღვთის წმიდანებს	19
როგორ შევუჩიოთ სახელი ახალშობილს	21
სახელი – უბრალოდ ასოთა ერთობლიობა,	
თუ დაფარული შინაარსის გამოსატყულება	21
მოდური და ძველმოდური, ლამაზი და	
უღამაზო სახელები	24
რატომ უნდა ვარქმევდეთ შვილებს	
წმიდანთა სახელებს?	27
როგორ შევარჩიოთ სახელი ღვთივსათნოდ?	29
როგორ განვსაზღვროთ ჩვენი ანგელოზის დღე?	30
როგორ აღვნიშნოთ ჩვენი ანგელოზის დღე?	33
როგორ შეეწევა ზეციური მფარველი ადამიანს	35

სიტყვა *ქრისტიანი* ქრისტესთან ჩვენს კავშირს აღნიშნავს. ეკლესიის სწავლების მიხედვით ნათლობის საიდუმლოს დროს უფალი ადამიანს მიუჩენს მფარველ ანგელოზებს, რომლებიც მისი ზეციური მფარველები ხდებიან და მასთან რჩებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე. მათგან ერთი, – ეს არის ზეციური ანგელოზი, რომელიც იცავს ადამიანს, ხოლო მეორეა წმიდანი, რომლის სახელიც ნათლობის დროს ეწოდა მას. აი, როგორ განმარტავს ამას წმიდა თეოდორე ედესელი: „უფალი თითოეულ ჩვენგანს ორ ანგელოზს ანიჭებს, რომელთაგან ერთი – მფარველი ანგელოზი გვიცავს ყოველგვარი ბოროტებისაგან, სხვადასხვა უბედურებისაგან და გვეხმარება სიკეთის ქმნაში; მეორე კი – უფლის წმიდა სათნომყოფელი, რომლის სახელსაც ვატარებთ, გვშუამდგომლობს უფლის წინაშე. მისი ღლოცვები, როგორც უფრო ღირსეული და სათნო უფრო მისაღებია ღვთისთვის, ვიდრე ჩვენი, ცოდვიანი.

ანგელოზები, სიყვარულისა და მშვიდობის მსახურნი, ხარობენ, როდესაც ჩვენ სინანულში ვართ, როდესაც სათნოებაში წარვემატებით. ისინი ცდილობენ აღგვაესონ სულიერი ჭკრეტით (იმისდა მიხედვით, თუ რამდენს დავიტევთ) და გვეხმარებიან ყოველგვარი სიკეთის ქმნაში.“

„წმიდანები სულიწმიდით ჭკრეტენ ჩვენს ცხოვრებას და საქმეებს. მათ იციან ჩვენი მწუხარებანი და ესმით ჩვენი მხურვალე ღოცვები... წმიდანები არ გვივიწყებენ და ჩვენთვის ღოცულობენ... ისინი ხედავენ ადამიანთა ტანჯვასაც დედამიწაზე. უფალმა მათ იმხელა მაღლი მიანიჭა, რომ ისინი სიყვარულით მთელს სამყაროს მოიცავენ. ისინი ხედავენ და იციან, როგორ გვტანჯავს მწუხარება, როგორ დაგვიშრიტა და შეგვიბოჭა სული მოწყინებამ და შეუწუხებლად გეშუამდგომლობენ ღვთის წინაშე“. – გვასწავლის ღირსი სილუან ათონელი.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ჩვენ წმიდანთა სახელებს ვატარებთ, მიწიერი ეკლესიისა და ზეციური, მოხეიძე ეკლესიის ერთიანობისა და განუყოფლობის გამოხატულებაა. ეს ორივე ხომ ეკლესიის თავის – ქრისტეს ერთიანი სხეულია და ერთმანეთთან ცოცხალ კავშირშია. ზეცაში დამკვიდრებულ წმიდანებს უყვართ თავიანთი მიწიერი ძმები და მათს ცხოვრებაში მონაწილეობენ – ხარობენ, როდესაც ისინი ღვთისათვის სათნოდ ცხოვრობენ, და მწუხარებენ მათი ცოდვით დაცემის დროს. ისინი უფლის წინაშე ღოცვით შუამდგომლობენ მათ, ვინც საშველად უხმობთ, იცავენ მათ განსაცდელთა და ჭირთაგან; ერთი სიტყვით, მათი ცხოვრების თანამონაწილენი და შემწენი არიან.

წმიდა ეკლესია მუდამ მიაგებდა ჯეროვან პატივს მათ, ვინც წმიდანის გვირგვინი დაიდგა თავზე და ქრისტეს მხედრობაში ჩარიცხვის პატივი მოიპოვა. ეს თითოეული ქრისტიანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. როგორ განადიდებს ღმერთი მართალთ მიწაზე და რა პატივს მიაგებს მათ ეკლესია, – ამ საკითხზე ძალზე საყურადღებოა ჩვენი დროის ერთ-ერთი წმიდა მამის ნექტარიოს ეგინელის* ნაშრომი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.

როგორ განადიდებს ღმერთი მართალთ მიწაზე და რა პატივს მიაგებს მათ ეკლესია

უხენაესი მსაჯული ღირს-ყოფს მართალთ, სიკვდილის შემდგომ მიიღონ „დასაბამი დიდებისა“ ზეცაში – მოხეიძე ეკლესიაში, და ამავედროულად განადიდებს მათ მიწაზე, მებრძოლ ეკლესიაშიც.

ეს დიდება მქვანდება იმაში, რომ მიწიერი ეკლესია პატივს მიაგებს მართალთ, როგორც წმიდანებს და ღვთის მეგობრებს. იგი მოუწოდებს მათ თავის ღოცვებში, როგორც შუამდგომელთ ღვთის წინაშე და ასევე თავყვანს სცემს მათ წმიდა ნაწილებს, ხატებს და მათს კუთვნილ ნივთებს.

ღვთის მიერ მიწაზე განდიდებულ წმიდანებს ღვთის წმიდა ეკლესია თავყვანს სცემდა ქრისტე მაცხოვრის მიერ მისი დაარსებიდანვე. მსოფლიოს ყველა კუთხეში დაფუძნებული ყოველი თემი თავის ვალად, პატივად და დიდებად მიიჩნევდა დღესასწაულების აღსრულებას ქრისტესთვის ვნებულ და მოწამებორივი გვირგვინებით შემკულ წმიდანთა პატივსაცემად, რათა დროის გასვლის შემდეგ უკვდავად შეენახათ მათი საქმენი. მოწამებორივი აღსრულების დღე იწოდებოდა „მოწამეთა დაბადების დღედ“, რამეთუ ამ დღეს ისინი გვირგვინით შემკულნი შევიდნენ ზეცაში მარადიულ ცხოვრებაში. ამ დღიდან ისინი ირიცხებოდნენ წმიდანთა დასში, რომლებიც სათნო-ეყვნენ ღმერთს და მოწოდებულ იქნენ მარადიულ ცხოვრებაში.

წმიდა მოწამეთა პატიოსანი ნაწილები ქრისტიანული თემებისთვის ყველაზე ძვირფას ქვებზე უფრო ფასეული იყო; მათ წმიდა ტაძრებში ათავსებდნენ და ინახავდნენ, როგორც უნიკალურ საგანძურს.

მათი ღვაწლის მოხსენიების დღეს მორწმუნენი აღასრულებდნენ დღესასწაულს უფლის მოწამის პატივსაცემად. ამ დღესასწაულზე იკითხებოდა მოწამეთა ვნებანი, ქრისტიანული თემების მქადაგებელნი კი წარმოთქვამდნენ საზეიმო სიტყვებს.

ხშირად მოწამეთა საფლავებზე აგებდნენ ტაძრებს, რომლებსაც „მოწამეთას“ უწოდებდნენ; ასეთ ტაძარს მასში თავყვანცემული მოწამის სახელს ანიჭებდნენ.

მოწამის ყოველწლიურ დღესასწაულზე ყველა მორწმუნე მოდიოდა ტაძარში, რათა განედიდებინათ ღმერთი და თავყვანი ეცათ ღვთის მიერ განდიდებული მოწამისათვის.

ქრისტიანები ეამბორებოდნენ მოწამის ღუსკუმას და იღებდნენ ზეთს მასთან ანთებული კანდილიდან, რათა განწმენილიყვნენ და სნეულებათაგან განკურნებულიყვნენ.

წმიდა ნაწილების გარდა ქრისტიანები თაყვანს სცემდნენ წმიდა საფლავს, სადაც დაასვენეს უფლის ყოვლადწმიდა სხეული, გარდამოხსნას, ანუ ნაჭერს, რომელშიც გახვეული იყო უფალი იესოს სხეული. ისინი ასევე პატივს მიაგებდნენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პატიოსან სამოსელს და მის სარტყელს.

წმიდანთა თაყვანისცემა შედეგია მაღალი რელიგიური გრძნობისა, ღვთისადმი რწმენისა და გულთაძირი სიყვარულისა; ეს არის გამოვლინება სურვილისა – განადიდო ღმერთი, რომელიც განადიდებს თავის მებრძოლ ეკლესიას. წმიდანთა თაყვანისცემა, – ეს არის გამოხატულება მათდამი მორწმუნეთა სიყვარულისა მათი დიდი სათნოებისა და ღიძების უჭკნობი გვირგვინის მისაღებად გაწეული ღვაწლისათვის.

წმიდანთა თაყვანისცემა ნიშანია მათდამი ჩვენი პატივისცემისა ქრისტეს რწმენისათვის გაღებული მათი ნებაყოფლობითი მსხვერპლისათვის. მათ აღიარეს ეს რწმენა და განამტკიცეს იგი სრული თავგანწირვით, დასთხიეს რა საკუთარი სისხლი.

წმიდანთა თაყვანისცემა გამოხატულებაა ჩვენი მარადიული მადლიერებისა მტრის ტყუილებთან მებრძოლ ქრისტეს მხედართა მიმართ. მათ დაიმარხეს უბიწო რწმენა და შეურყვნელად გადმოგვცეს წმიდა მემკვიდრეობა – მათთვის განცხადებული მთელი ჭეშმარიტება.

წმიდანთა თაყვანისცემა გამოვლინებაა ჩვენი გრძნობებისა და ფიქრების იდენტურობისა ჩვენი სარწმუნოების წმიდა მოღვაწეთა ფიქრებთან და გრძნობებთან.

წმიდანთა თაყვანისცემა აღსარებაა ჩვენი მხურვალე და ცოცხალი რწმენისა ქრისტესადმი, რომელმაც მისცა ძალა სარწმუნოების მოღვაწეებს მათს ღვაწლში და განადიდა ისინი. წმიდანთა თაყვანისცემა ნიშანია ჩვენი გულების აღმავსებელი ღვთაებრივი სურვილისა – მივბაძოთ მათ. ეს დადასტურებაა ჩვენი გულების აღმანთებელი სურვილისა – ავმადლდეთ მათი სათნოებების სიმაღლემდე, რომლებიც მარადიული მიბაძვის მაგალითად დაგვიტოვეს. წმიდანთა თაყვანისცემა ჩვენი ზნეობრივი ვალია მათ წინაშე მათ მიერ ჩვენთვის გაწეული უამრავი ქველისმოქმედების გამო; ეს ჩვენი მოვალეობაა იმ ღოცვების გამო, რომლებსაც წმიდანები მაცხოვრისადმი ჩვენთვის ადავლენენ. ეს ვალია, რომლის მოხდასაც ჩვენგან ითხოვს ღმერთი – მიწაზე თავის წმიდანთა განმადიდებელი. ღმერთს ხომ სურს, რომ მის მიერ განდიდებული და გვირგვინმოსილი წმიდანები იდიდებოდნენ მიწაზე.

ეკლესიას თავისი დაარსების დღიდან ჰქონდა მხოლოდ ერთი აზრი და ერთი რწმენა წმიდანთათვის მისაგები პატივის შესახებ. ამას ადასტურებს მთელი მისი ისტორია. წმ. ეპიფანე კვიპრელი ამბობს: „ის, ვინც თაყვანს სცემს უფალს, თაყვანს სცემს წმიდანსაც; ის, ვინც უპატივცემლოდ ეპყრობა წმიდანს, შეურაცხყოფს მის მეუფე ღმერთსაც“.

და მართლაც, თუ ვინმე უპატივცემლოდ ეპყრობა იმათ, ვისაც პატივს სცემს მეფე, იგი უპატივცემლოდ ეპყრობა თავად მეფესაც; ასევე ისიც, ვინც პატივს არ მიაგებს ღვთის მიერ განდიდებულ წმიდანებს, პატივს არ მიაგებს თავად ღმერთსაც. ამგვარად, ასეთი ადამიანი უპატივცემულობას იჩენს ღვთისადმიც და მისი წმიდანებისადმიც.

იმასვე წერს პატივზე, რომელიც წმიდანებს უნდა მივაგოთ, ღვთაებრივი გრიგოლ ღვთისმეტყველიც თავის სიტყვაში იუღიანე განდგომილის მიმართ: „შენ არ შეგრცხვა ქრისტესთვის დაკლულ მსხვერპლთა! არ შეგეშინდა დიდი მოღვაწეების – იოანე, პეტრე, პავლე, იაკობი, სტეფანე, ლუკა, ანდრია, თეკლა და სხვებისა, მათი, ვინც მათ შემდეგ და მათზე ადრე ევნო ჭეშმარიტებისათვის! ისინი ხალისით ებრძოდნენ ცეცხლს, რკინას, მხეცებს და მტანჯველებს... რატომ იქმოდნენ ყოველივე ამას? – იმიტომ, რომ სიტყვითაც არ ეღალატათ კეთილმსახურებისათვის. ისინი იდიდებიან პატივითა და დღესასწაულებით, ისინი განდევნიან დემონებს, კურნავენ სნეულებებს, ეცხადებიან, წინასწარმეტყველებენ; თავად მათი სხეულები, როცა მათ ესებიან და თაყვანს-სცემენ, ისევე მოქმედებენ, როგორც მათი წმიდა სულები; სისხლის წვეთებიც კი, საერთოდ ყველაფერი, რაც მათი ტანჯვის კვალს ატარებს, ისეთივე ძალის მქონეა, როგორც მათი სხეულები. შენ კი ამას არათუ პატივს არ სცემ, არამედ შეურაცხყოფ“.

წმ. ნიკიფორე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ლეონ რომის პაპისადმი წერილში ამბობს: „თაყვანს ვსცემ და ვეამბორები წმიდანთა პატიოსან ნაწილებს, რომლებსაც ძალუძთ განკურნონ სულიერი და ხორციელი სნეულებანი“.

წმ. ფოტი კი თავის პირველ ეპისტოლეში ამბობს: „ჩვენ თაყვანს-ვსცემთ წმიდანთა ტაძრებსაც და მათ წმიდა ნაწილებსაც, როგორც მორწმუნეთა მკურნალთ, და ვადიდებთ და დიდებისმეტყველებთ მათ განმადიდებელ ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა“.

იმას, რომ წმიდა ნაწილების თაყვანისცემა უკვე ეკლესიის ისტორიის პირველ საუკუნეებში არსებობდა, მოწმობს წმ. მღვდელმთავარ ეგნატეს ნაწილების გადასვენებაც. ეს უძველესი მოწმობაა წმიდა ნაწილებზე. იგივე შეიძლება ითქვას წმიდა მოციქულთა წმიდა ნაწილებზეც, რომლებიც დღემდე შემოინახა და რომელთა შესახებაც ჩვენ გვაქვს ეკლესიის მოწმობა. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს მოწმობა ყველა წმიდა ნაწილზე, მოციქულთა მოწაფეებზე, ქრისტეს ყველა წმიდა მოწამეზე, ღირსზე და მართალზე, რომლებიც განადიდა უფალმა. წმიდა ნაწილების თაყვანისცემა წმიდა და ღვთივსათნო საქმეა.

ეკლესია, გვიამბობს რა თავის ეკლესიის ისტორიაში წმ. მღვდელმთავარ პოლიკარპეს წმიდა ნაწილებზე, ამბობს: „მას (ქრისტეს) თაყვანს ვცემთ, როგორც ძეს ღვთისას; მოწამენი კი გვიყვარს, როგორც ქრისტეს მოწაფენი, მისი მიმბაძველნი, თავიანთი მეუფისა და მოძღვრისადმი მათი სწორუპოვარი ერთგულებისათვის“.

ღვთაებრივი ოქროპირი კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეზე საუბარში ამბობს: „წმიდანთა ნაწილებს ისეთი მდაბალი ძალაუფლება როდი აქვთ, როგორც მმართველებს – დაიცვან და განათავისუფლონ ადამიანები, მათ ყველაზე დიდი ძალაუფლება აქვთ – მათ შეუძლიათ განდევნონ ბოროტი სულები და იხსნან ადამიანები მათი უმწარესი ბორკილებისაგან... რამეთუ დემონებს ეს სასწაულთმოქმედი ძალა არ გააჩნიათ... წმიდანთა წამება (და მათ სახელზე აგებული ეკლესიები) მომავალი სამსჯავროს ნიშნები და სიმბოლოებია. ამიტომაც გამოიხსნიან ისინი ბოროტ სულთაგან ტანჯულ ადამიანებს და აცხოვრებენ. ხედავთ, როგორი ძალა აქვთ წმიდანებს სიკვდილის შემდგომაც?“

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, როგორ და რატომ სცემს თაყვანს ქრისტიანი ეკლესია წმიდანებს და მათს წმიდა ნაწილებს.

ღვთისადმი წმიდანთა ღოცვის შესახებ

ეკლესიური ცნობიერება მართლმადიდებლური რწმენის შესაბამისად იმარხავს ღოგმატს ღვთის წინაშე წმიდანთა ღოცვითი მეოხების შესახებ. ასეთი იყო ეკლესიის საერთო რწმენა პირველ საუკუნეებში; ქრისტიანები ამ დებულებას ყოველთვის უცილობელ ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ და სწამდათ იგი ყველა საუკუნის მანძილზე.

ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული, თავის თავში შეიცავს ყველას, სარწმუნოების მიერ განახლებულთ – ცოცხლებსა და მიცვალებულებს, რომლებიც შეიქნენ სხეული ქრისტესი.

ეკლესია თავის თავში შეიცავს არა მარტო მათ, ვინც ირწმუნა ქრისტე მისი მოსვლის შემდეგ, არამედ ყველა მართალსაც, ვინც აღესრულა სჯულის მოცემამდე და სჯულის მოცემის შემდგომ. მათ მიიღეს ხსნა, რადგან მოელოდნენ აღთქმულ მხსნელს სოფლისა. ეკლესიაზე ამგვარი შეხედულების თანახმად, ეკლესია თავის თავში შეიცავს და თავის წევრებად და ქრისტეს ნაწილებად თვლის ყველა მართალსაც, მოყოლებული ადამის დროიდან, ვინც ჯერ კიდევ იესო ქრისტეს მოსვლამდე ირწმუნა იგი.

ქრისტეს ეკლესია, ეს არის *მებრძოლი* და *მოხეიძე* ეკლესია. *მებრძოლს* ეუწოდებთ ეკლესიას, რომელიც იღვწის მიწაზე ღვთის სიტყვის განსამტკიცებლად და ებრძვის წარწყმედის ძალებს. *მოხეიძე* კი ის ეკლესიაა, რომელიც ზეცაში იმყოფება მას შემდეგ, რაც იბრძოლა, გაიმარჯვა მტერზე და დიდებით მიყვანილ იქნა ქრისტესთან.

ამრიგად, ეკლესიაზე მართლმადიდებლური შეხედულების თანახმად, „ქრისტეს მიერ“ შესვენებულნი, არიან რა ეკლესიის წმიდა წევრები, ეკლესიასთან ურღვევ ერთობაში იმყოფებიან. არიან რა ეკლესიის წევრები, ისინი თანაუგრძობენ საეკლესიო მსახურებებს, მთელ ეკლესიასთან ერთად ადიდებენ მაცხოვარს და ღოცულობენ მებრძოლი ეკლესიისთვის. ისინი ასევე ღოცულობენ სულიერ თუ ხორციელ სწეულებებში მყოფი მისი წევრებისათვის, მათთვის, ვისაც სათნოებაში სრულყოფილებისათვის არ მიუღწევია და ღვთის მადლით შეეწევიან მათ, ვისთვისაც ღოცულობენ. მოხეიძე ეკლესიის ღოცვები უერთდება მებრძოლი ეკლესიის ღოცვებს და ზეცა მიწასთან ერთად ადიდებს უფალს და ღოცულობს მსოფლიოს სიცოცხლისა და ცხოვრებისათვის.

მართლმადიდებელ ეკლესიაში წარმოუდგენელია მის წევრთა ერთმანეთისგან მოწყვეტა ან განყოფა, გინდ ცოცხლების, გინდ გარდაცვლილებისა, რამეთუ წარმოუდგენელია ქრისტეს ასოთა მოცილება ეკლესიისგან ქრისტეს სხეულისგან სიკვდილის შემდეგ. ისინი

მკვდარნი ან უგრძობნი ვერ შეიქნებიან. შეუძლებელია ეკლესიამ კავშირი გაწყვიტოს უფალთან; შეუძლებელია, მის წევრებს, რომლებმაც მოიპოვეს „ქრისტეს მიერ“ ცხოვრება, მეტად აღარ ჰქონდეთ იგი. პირიქით, ეკლესიას სწამს, რომ ახლა ჩვენ „ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, ხოლო მაშინ პირისპირ ვიხილავთ“ (1 კორ. XIII, 12).

მართლმადიდებელ ეკლესიას სწამს, რომ მორწმუნეებს, – ცოცხლებსა თუ გარდაცვლილებს, – როგორც ქრისტეს ასოებს, აქვთ მათ მიერ მიღებული ქრისტესმიერი ცხოველმყოფელი ცხოვრება, რომ ეს ცხოვრება მარადიულია და რომ მათში მკვიდრობს სული ქრისტესი. ეკლესიას ასევე სწამს, რომ მათი მიწიერი სამკვიდრებლის (ანუ სხეულის) დარღვევის შემდეგ ისინი სრულად შეიმეცნებენ მათს განმაცხოველებელ ქრისტესმიერ ცხოვრებას და სავსებით განათლდებიან მეცნიერებით (იხ. 2 კორ. IV, 8-15 და V, 1-10). ეკლესიას ასევე სწამს, რომ მოხიბვნილი ეკლესიის წევრებმა იციან იმის შესახებ, რა ხდება მიწაზე, მეტროდ ეკლესიაში და როდესაც ამ ეკლესიის წევრები მათ თავიანთ ღოცვებში უხმობენ, ისინი ღვთის ნებისაებრ შეეწევიან მხმობელთ – შუამდგომლობენ უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს წინაშე თავიანთი კადნიერებით.

ამგვარად, ჩვენი ეკლესიის ამ შეხედულებებიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ უფალთან წასული წმიდანები სიკვდილის შემდგომ ჩვენ, ცოცხალთა მიმართ გულგრილნი არიან, ღრმად ცდებიან. წმიდანები ჩვენთვის ღოცულობენ, ჩვენს შესახებ ყველაფერი იციან. ამას მოწმობს წმიდა სახარებაც: „ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს“ (ლუკ. XV, 10). ვინ ხარობს ზეცაში? მხოლოდ ანგელოზები? მაგრამ თუ ხარობენ ანგელოზები, რატომ არ უნდა უხაროდეთ წმიდანებს, რომლებიც ანგელოზების მსგავსად იმყოფებიან ქრისტე მაცხოვართან და განათლებულნი არიან მეცნიერების ნათლით. თუ წმიდანებმა არაფერი იციან ჩვენზე, მაშინ საიდან იციან ეს ანგელოზებმა? მაგრამ თუ ღვთაებრივი ნათლით განათლებულმა ანგელოზებმა იციან იმის შესახებ, რაც ჩვენს თავს ხდება, როგორ შეიძლება არ იცოდნენ იმ წმიდანებმა, რომლებიც ასევე განათლებულნი არიან ღვთისგან? ამიტომ ზეცაში ხარობენ ანგელოზებიც და წმიდანებიც, და მათ იციან ჩვენს საქმეებსა და გასაჭირზე. მაცხოვარი ეუბნება იუდეველებს, რომ „აბრაჰამს, მამასა თქვენსა, უხაროდა, რადთა იხილოს დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა“ (იოან. VIII, 56). აქ კი ნათლად ჩანს, რომ იგი აშკარად საუბრობს აბრაამისა და, მაშასადამე, ყველა წმიდანის ცოდნაზე.

ზეცაში მყოფ წმიდანთა ღოცვების უარყოფელი უარყოფენ ცოცხალ წმიდანთა ღოცვებსაც, ღოცვებს თავად ეკლესიისა. ისინი უარყოფენ ყოველგვარ შუამდგომლობას და, ამგვარად, წმიდა წერილის საწინააღმდეგოდ აზროვნებენ.

და მაინც, მართლმადიდებლური თვალსაზრისის დასამტკიცებლად ძველ და ახალ აღთქმასაც დავიმოწმებთ.

ძველი აღთქმის მოწმობანი

ღვთისადმი წმიდანთა ღოცვის ნამდვილობა პირველ ყოვლისა დასტურდება ძველი აღთქმიდან. მასში ჩვენ ვპოულობთ ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ღოცულობდა ღვთისადმი აბრაამი აბიმელექისათვის: „და ილოცა აბრაჰამ ღმრთისა მიმართ და განკურნა ღმერთმან აბიმელიქ და ცოლი მისი და მკვებლები მისი და შობდეს“ (დაბ. XX, 17). მოსეც ღოცულობდა ფარაონისთვის: „და გამოვიდა მოსე ფარაონსგან და ილოცვიდა უფლისა მიმართ. და ყო უფალმან, ვითარცა იგი ჰრქუა მას მოსე, და მოუსპო ძაღლის მწერი იგი ფარაონსგან და მონათა მისთა და ერისა მისისაგან და არა დაშთა არცადა ერთ“ (გამ. VIII, 30-31). და იუდეველი ხალხისთვის: „და ილოცა მოსე უფლისა მიმართ და დასცხრა ცეცხლი იგი“ (რიცხ. XI, 2), და აარონისთვის (მეორ. რჯ. IX, 12, 20); ასევე სამოელიც ღოცულობდა ისრაელზე: „შეჰლადადა სამოელმა უფალს ისრაელისთვის და უსმინა მას უფალმა“ (1 მეფ. VII, 8-9; იხ. ასევე 1 მეფ. I, 12-23; XII, 23; 3 მეფ. XIII, 1-7).

იობის წიგნში უფალი ეუბნება ელიფას თემნელს: „სცოდე შენ და ორთა მათ მეგობართა შენთა, რამეთუ არა იტყოდეთ ჭეშმარიტსა ჩემ წინაშე არცა ერთსა რას, ვითარ-იგი მსახური ჩემი იობ. ხოლო აწ მოიბთ შუდი ზუარაკი და შუდნი ვერძნი. და მივედით მსახურისა ჩემისა იობისა. და შეწიროს მსხუერპლი თქვენთუს. ხოლო იობ,

მსახურმან ჩემმან, ილოცოს თქვენთვის, რამეთუ პირსა მისსა თუალ-ვადებ, უკუეთუმცა არა მივხედე, წარ-მცა-გწყმიდე თქვენ... და ყვეს ვერე, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან, და მიუტევა მათ ცოდვანი მათნი იობისთვის“ (იობ. XXXXII, 7-9).

მღვდელმთავარნი და მღვდელნი, მოსეს სჯულის დადგენილებათა თანახმად, ევედრებოდნენ ღმერთს ხალხისთვის. ლევიტელთა წიგნში (IX, 7) მოსე ეუბნება აარონს: „წარმოდევ წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა და შეწირე ცოდვისა შენისა და მსხუერპლი შენი ღხინება-ყავ თავისა შენისა და სახლისა შენისა, და შეწირე მსხუერპლი ერისა და ღხინება-ყავ მათთვის, ვითარცა-იგი ბრძანა ღმერთმან“.

იუდეველთა მეფე მანასე ლოცვაში ღმერთს ასე უხმობდა: „უფალო ყოვლისამყრობელო, ღმერთო მამათა ჩვენთაო, აბრაამისო, ისააკისო, და იაკობისო, და თესლისა მათისა მართლისაო...“ ამ ლოცვაში ცხადად ვხედავთ მამათმთავართა ლოცვას ღვთისადმი. რამეთუ მანასე მამათმთავრებს და მათ მართალ შთამომავლებს იხსენიებს მხოლოდ იმისთვის, რომ მათი ლოცვით მოუხმოს ღვთის წყალობას თავის თავზე.

სხვა მაგალითი: როდესაც ეზეკია ღმერთს ევედრებოდა, არ მიეღო მისი სული, ესაია წინასწარმეტყველისგან ეუწყა: „ამათ იტყვს უფალი, ღმერთი დავითის, მამისა შენისა: მესმა ლოცვისა შენისა და ვიხილნე ცრემლნი შენნი. აჰა, შევსძინე ჟამსა ზედა შენსა წელიწადნი ათხუთმეტნი...“ აქედან ნათლად ჩანს, რომ ღვთის მადლი და წყალობა მან მიიღო დავითის, თავისი მამის გამო, რომლის სახელსაც ეზეკიამ ლოცვაში უხმო (ეს. XXXVIII, 1-7).

ღვთის ტაძრის კურთხევისას წარმოთქმულ ლოცვაში მეფე სოლომონი უხმობს ღმერთს, შეისმინოს მისი ლოცვა ტაძრისთვის და იხსენებს ღვთის სიტყვებს თავისი მამის, დავითისადმი, და ამბობს: „ახლაც შეუსრულე, უფალო ღმერთო ისრაელისაო, შენს მონას დავითს, მამაჩემს, შენი ნათქვამი სიტყვა...“

ამ ლოცვაში სოლომონი აშკარად თხოვს ღმერთს, მოიხსენოს ისრაელი და დავითი და შეისმინოს მისი ვედრება. ეს ლოცვა ნიმუშია ღვთის სათნოყოფილ წმიდანთა შუამდგომლობის მოხმობისა. მსგავსი სახის ლოცვებს მთელ ძველ აღთქმაში ვხვდებით. აქედან ნათელი ხდება, რომ ძველი აღთქმა აღიარებს იმ ფაქტს, რომ მართალნი, – ცოცხალნიც და გარდაცვლილნიც, – ევედრებიან ღმერთს.

ახალი აღთქმის მოწმობანი

ახალ აღთქმაში სხვებისთვის ლოცვა არის მცნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (მათ. V, 44; ლუკ. VI, 28). თავად ქრისტემ მოგვცა ასეთი ლოცვის მაგალითი, როდესაც თავისი ჯვარმცემლებისთვის ილოცა (ლუკ. XXIII, 34). ასევე მთავარდიაკონი სტეფანე ლოცულობდა მათთვის, ვინც იგი ქვით ჩაქოლა (საქმ. VII, 60). პავლე მოციქულიც იმავეს ასწავლის რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (XII, 14), და კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (IV, 12). იმასვე წერს პეტრეც პირველ ეპისტოლეში (III, 9), და იაკობიც (V, 16). იოანეც ლოცულობდა გაიოზზე, რათა იგი ყოფილიყო ჯანმრთელი და წარმატებული ყოველივეში ისევე, როგორც წარმატებოდა მისი სული. და საერთოდ, მთელი წმიდა წერილი გამსჭვალულია ღვთისადმი ურთიერთისთვის ლოცვის სულით. ის, ვინც სხვისთვის ლოცულობს, მასსა და ღმერთს შორის შუამდგომელი ხდება; ამგვარად, სხვისთვის მლოცველი ყოველი ადამიანი შუამდგომლის საქმეს ასრულებს.

ეკლესიამ მოციქულთაგან მიიღო მცნება და მაგალითი ილოცოს მთელი მსოფლიოსათვის, იშუამდგომლოს ქრისტეს წინაშე მსოფლიოსათვის.

ღვთისადმი ლოცვებში ეკლესია თხოვს უფალს შეიწყნაროს მისი ვედრებანი და მოუწოდებს წმიდანთა და ღვთისმშობლის ლოცვებს, რადგან მას სწამს ღვთის წინაშე მათი კადნიერებისა და ქრისტეს მეტრძოლი ეკლესიისადმი მათი უტყუარი და გამუდმებული სიყვარულისა.

ეკლესიას სწამს (როდესაც იგი ლოცვით მიმართავს წმიდანებს), რომ წმიდანები, რომლებიც თავისი ცხოვრების ჟამს ევედრებოდნენ ღმერთს მსოფლიოსათვის და ქრისტეს წმიდა ეკლესიების კეთილდღეობისათვის, ამასვე განაგრძობენ ქრისტეს ზეციურ მოხეიძე ეკლესიაში. ისინი კეთილგანწყობით ისმენენ ჩვენს ლოცვებს, როდესაც მათ ეუხმობთ, ევედრებიან ღმერთს და ხდებიან უფლის მადლისა და წყალობის მატარებელნი.

წმიდანთა ლოცვის შესახებ ცხადად საუბრობს იოანეს გამოცხადება (V, 8). მოციქულთა საქმეებში წერია, რომ ეკლესია ლოცულობდა საპყრობილეში მყოფი პეტრესთვის: „პეტრეს დარაჯობდნენ საპყრობილეში, ხოლო ეკლესია გულმოდგინედ ლოცულობდა მისთვის“ (საქმ. XII, 5).

პავლე მოციქული წერს რომაელებს, რომ იგი მუდამ, განუწყვეტლივ იხსენიებს მათ თავის ლოცვებში ღვთისადმი (რომ. I, 9). იგი თხოვს მათაც, ილოცონ ღვთისადმი მისთვის, რათა იგი გადაურჩეს ურწმუნოებს იუდეაში და რათა მისი მსახურება იერუსალიმისათვის სათნო-ეყოს წმიდანებს (რომ. XV, 31).

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეშიც პავლე წერს: „...ილოცეთ მარადეამ სულით; და ამასვე ეცადეთ მთელი სიმტკიცითა და ვედრებით ყველა წმიდისათვის, და ჩემთვის...“ (VI, 18-19).

იაკობ მოციქული საუბრობს ერთმანეთისთვის ლოცვაზე: „ულოცვედით ერთიერთსა, რადთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწვენად“. და ლოცვის ძალა რომ აჩვენოს, ამბობს: „ელაჲ კაცივე იყო მსგავსი ჩუენი და ლოცვაჲ ილოცა არაწუჲმად, და არა წუჲმა ქუეყანასა ზედა სამ წელ და ექუს თვე. და კუალად ილოცა და ცამან მოსცა წუჲმად და ქუეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თუსი“ (V, 16-18).

იოანე ღვთისმეტყველიც გვამცნებს ვილოცოთ ჩვენი შემცოდე ძმებისთვის: „უკუეთუ ვინმე იხილოს ძმაჲ თუსი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოვოს და მოსცეს მას ცხორებაჲ“ (I ეპისტ. V, 16).

ამგვარად, ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ სხვებისთვის ლოცვა ჩვენი მაცხოვრისა და მოციქულების მცნებაა; ეს სათნოა ღვთისათვის; ღმერთი შეიწყნარებს ჩვენს ლოცვებს ჩვენი ძმებისთვის; იგი ისმენს ლოცვებს და ანიჭებს ცოდვილებს სიცოცხლეს, ანუ მიუტევებს არასასიკვდილო ცოდვებს; მართალის ლოცვას დიდი ძალა აქვს.

ამგვარად, ჩვენ ვაღდებულნი ვართ ვილოცოთ სხვებისთვის და მოუხმოთ მართალთა ლოცვებს ცოდვილთათვის, რადგან ამ მართალთ აქვთ დიდი კადნიერება ღვთის წინაშე.

ამგვარად, ვიცით რა ყოველივე ეს, გვაქვს კი უფლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ წმიდანნი და მართალნი (რომლებიც ლოცულობდნენ ჩვენთვის თავიანთი მიწიერი ცხოვრების მანძილზე, ახლა კი უფლის მიერ გადასახლებულნი არიან მოხეიძე ეკლესიაში) ლოცულობენ ჩვენთვის, მებრძოლი ეკლესიის წევრებისთვის?

მსგავსი ეჭვი იმის ნიშანია, რომ არ გვწამს დოგმატი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანულად გარდაცვლილნი გადადიან სიკვდილიდან სიცოცხლეში, ცოცხალთა ქვეყანაში, მართალთა სავანეებში, ზეციურ სასუფეველში. ხოლო თუ გვწამს ეს დოგმატი, უნდა გვწამდეს ისიც, რომ წმიდანნი და მართალნი ლოცულობენ ჩვენთვის და ეწვევიან ჩვენი ლოცვების ტვირთს, რადგან ჩვენ, ყველანი, ერთი სხეულის – ეკლესიის წევრები ვართ. ამგვარად, წმიდანები ლოცულობენ ჩვენთვის და ჩვენთვის ღვთის ნიჭების მომწოდებელნი ხდებიან.

ამის მოწინააღმდეგენი ამბობენ: „ღმერთსა და ადამიანებს შორის მხოლოდ ერთი შუამავალია“, რაც აშკარად არასწორია. ისევე როგორც სხვა ყველაფერში, აქაც მოციქულთა სწავლებას მივყვებით. ერთია – ქრისტეს, ადამიანთა მოღვმის გამომსყიდველის, ძე ღმრთისას შუამდგომლობა თავისი მამის წინაშე, და სხვაა ყოველთა წმიდათა, ღვთისმშობლისა და ანგელოზების შუამდგომლობა ქრისტე მაცხოვრის წინაშე.

წმიდა გადმოცემის მოწმობანი

ჩვენ წმიდა გადმოცემისგან ვისწავლეთ, რომ მოციქულთა დროიდან ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია განიხილაჲდა ყველა წმიდანს და ღვთისმშობელს, როგორც მეოხთ ქრისტე მაცხოვრის წინაშე, რომელნიც ევედრებიან მას მებრძოლი ეკლესიისთვის, რამეთუ მათ აქვთ დიდი კადნიერება მის წინაშე. გარდა ამისა:

1. როგორც აღმოსავლეთის ეკლესიის, ისე სხვა ეკლესიების ყველა საღვთისმსახურო წიგნში საუბარია წმიდანებზე, როგორც შუამდგომელებზე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წინაშე.

2. გადმოცემის თანახმად, აღმოსავლეთის ეკლესია პროსკომიდიას იღებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმიდანთა ნაწილებს და დააბრძანებს მათს ფეშხუმზე წმიდა პურის მარჯვნივ და მარცხნივ და იხსენიებს მათს სახელებს. ამ გადმოცემას იცავს და აღასრულებს ყველა, ყოველთვის და ყველგან ეკლესიაში.

3. დიპტიქებში მოიხსენიებოდა და მოიხსენიება ყველა წმიდანი – უძველესი დროიდან დღემდე.

4. ეკლესიის უძველესი მამები თვლიდნენ, რომ წმიდანები შუამდგომლობენ ჩვენთვის ღვთის წინაშე და მუდამ მიმართავდნენ მათ მეოხებას.

ასე მაგალითად, წმ. ბასილი დიდი 40 მოწამის შესახებ სიტყვაში ამბობს: „რამდენი შრომა გასწიე, რომ გეპოვა შენთვის ერთი მლოცველიც კი უფლის წინაშე! – და აი, ორმოცი მლოცველი ადავლენს შეთანხმებულ ღოცვას. „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. XVIII, 20); ხოლო სადაც ორმოცია, იქ ვინმე დაეჭვდება ღვთის მყოფობაში? ორმოც მოწამეს შეუვრდება შეჭირვებული, მათთან მოივლტის მოხარული, ზოგიც იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მისი კეთილდღეობა. აქ შეხვდები კეთილმორწმუნე ქალს, რომელიც ღოცულობს შვილებისთვის, ითხოვს მოგზაურობაში მყოფი ქმრის დაბრუნებას, სნეულის გაჯანმრთელებას... წმიდა დასი! კურთხეული რაზმი! შეურყეველი პოლკი! ადამიანთა მოდგმის საერთო მფარველნი! კეთილი თანამზრახველნი საზრუნავებში, შემწენი ღოცვაში, ყველაზე ძლიერი მეოხნი, სამყაროს მნათობნი, ეკლესიათა დამამშვენებელნი... თქვენ მიწამ კი არ დაგფარათ, არამედ ზეცამ მიგიღოთ; თქვენ წინაშე განიხვნენ ბჭენი სამოთხისანი“ (სიტყვა 9).

ეკლესიის დიდი მნათობი, იგი თავადაც მოუხმობს ზეცით წმიდანთა ღოცვებს და ამბობს: „მივიღებ წმიდა მოციქულებს, წინასწარმეტყველებსა და მოწამეებს, მოუხმობ მათ ღვთისადმი ჩემს ღოცვებში, რათა მათი მეოხებით მოწყალე-მექმნეს კაცთმოყვარე ღმერთი და მომანიჭოს შენდობა შეცოდებათა ჩემთა“ (ეპისტოლე იულიანე განდგომილისადმი).

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ბასილი დიდზე ამბობს: „მომხედენ ზეცით, ღვთაებრივო და წმიდაო თავო, და ჩემი შეგონებისათვის მოცემული საწერტელი ხორცთა (2 კორ. XII, 7) დააწყნარე შენი ღოცვით, ან მასწავლე მოთმინებით ავიტანო იგი და მთელი ჩემი ცხოვრება წარმართე უმჯობესისაკენ! და თუ აღვესრულები, იქაც მიმიღე შენს სავანეში“.

წმ. მელეტი ანტიოქიელზე სიტყვას რომ წარმოთქვამს, წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „მაშ, ვილოცოთ... რამეთუ თავად ნეტარი მელეტი გვყავს ამ ღოცვის მონაწილე“.

ასევე ორიგენეც მოწმობს წმიდანთა მეოხებაზე და ეკლესიის ამ უძველეს გადმოცემას განამტკიცებს თავისი უძველესი მოწმობით: „ამრიგად, ქრისტესთვის ვნებულთა სულები იმყოფებიან ზეციურ სამსხვერპლოსთან და შეეწვიან ცოდვათა მოტყევისათვის მათდამი მოლტოლვილთ“.

თეოდორიტე კი, როდესაც იმპერატორთა მივიწყებულ სამარხებზე წერს და ამ სამარხებს მოწამეთა სამარხებს ადარებს, ამბობს: „კეთილად მძლე მოწამეთა სამარხები ნათელი და მშვენიერია, ისინი გაოცებენ თავიანთი დიდებულებით... მათზე ჩვენ აღვასრულებთ დღესასწაულებს არა მარტო წელიწადში ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ, არამედ მრავალჯერ... იქ დღეში მრავალჯის ვუგალობთ მათ და მეუფეს ჩვენსას. ჯანმრთელნი ჯანის სიმრთელის შენარჩუნებას ითხოვენ, სნეულნი განკურნებას ეძიებენ, უშვილონი შვილებს ითხოვენ, ამ საუნჯის უკვე მიმღებელნი კი მათი (მოწამეთა) შუამდგომლობით მიერ ბოძებული შვილების ჯანმრთელობას შესთხოვენ მათ, მოგზაურობაში წამსვლელნი წმიდანებს თანამგზავრებად და გზამკვლევეებად მოუხმობენ, ჯანმრთელად დაბრუნებულნი მათ მიერ მონიჭებულ მადლს აღიარებენ უდიდესი მადლიერების გრძნობით. რა თქმა უნდა, მლოცველებიმათ მიეახლებიან არა როგორც ღმერთს, არამედ – როგორც ღვთის მიერ მადლმოსილ ადამიანებს, რომლებიც მორწმუნეთა მეოხნი არიან. მორწმუნენი ყოველთვის იღებენ იმას, რასაც ითხოვენ. ამას ცხადად მოწმობს თუნდაც ის უამრავი ძღვენი, რომელსაც მადლიერი ადამიანები შესწირავენ ხოლმე თავიანთ მადლისმოყვებით.“ წმ. თეოდორიტე ამას მეხუთე საუკუნის

შუა ხანებშიწერდა. მას მერე ეკლესიის სწავლებაში ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა.

ჩვენ ყველა წმიდანს ჩვენს შუამდგომლად და მეოხად მივიჩნევთ ღვთის წინაშე. ანგელოზნი, წმიდანნი, და განსაკუთრებით სამყაროს დედოფალი, ლოცვით შუამდგომლობენ არა მარტო ცოცხალთათვის, არამედ გარდაცვლილთათვისაც; მაგრამ, სამწუხაროდ, არა ყველასათვის – არა იმათთვის, ვინც ცოდვაში აღესრულა. რამეთუ ესენი ღმერთმა თავისი მოწყალებიდან გამორიცხა, რადგან მათზე ასე ბრძანა: „ნოე და იობი და დანიელიც რომ აღღვინენ, თავის ძეთ და ასულთ ვერ იხსნიან“. ხსნა ეგების მხოლოდ მათი, ვისთვისაც ლოცულობს ყველა (წმიდანი) და ვისთვის ლოცვებიც სათნოა; ანუ იმათი, ვინც სიცოცხლეშივე შეინანა ცოდვები, მაგრამ ვერ მოასწრო ამ ცოდვათაგან განბანა.

წმიდა წერილის მოწმობანი იმის შესახებ, რომ ჩვენ თაყვანს უნდა ვცემდეთ ღვთის წმიდანებს

ძველი აღთქმის წმიდა წერილში არის უამრავი ადგილი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ჩვენ მოვალენი ვართ პატივს მივაგებდეთ ღვთის წმიდანებს: „*აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა*“ (ესაღმ. 150, 1); „*საკურველ-ყო უფალმან წმიდად თვისი*“ (ესაღმ. IV, 4); *მეიგავეც მოწმობს: „კსენებად მართლისა ქებით იყოს*“ (იგაგ. X, 7).

ძველ აღთქმაში თაყვანის იცემება ყველა მართალი, ვინც ცხოვრობდა ადამიდან ქრისტემდე. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი გალობს 32-ე ესაღმუნში: „*იხარებდით მართალნი უფლისა მიერ, და წრფელთა შეენის ქებად*“. აქ მართალნი იწოდებიან ღვთის ძეებად და თაყვანის იცემებიან ღვთის ყველა მოყვარულის მიერ. თუ ვინმე იტყვის, რომ ძველი აღთქმის ყველა პოეტური წიგნი მართალთა ქებაა, იგი შორს არ იქნება ჭეშმარიტებისგან. მაგრამ თუ წრფელთა შეენის ქება, მაშინ როგორი ქება იქნება საკმარისი მათთვის, ვინც ევნო სარწმუნოების, ჭეშმარიტებისა და სიწმინდისათვის, და აღსრულებული ღმერთთან წავიდა. არანაირ ქებას არ ძალუძს სწორად გამოხატოს მათთვის შესაფერი პატივი.

მიტროფანე კრიტოპულოსის სარწმუნოების აღსარებაში ვკითხულობთ: „*ეკლესიის ძველ და წმიდა წინამძღოლთ მრავალჯერ გამოცხადებიან გარდაცვლილი წმიდანები. ვგულისხმობ გრიგოლ საკვირველთმოქმედს, ორიგენეს მოწაფეს. მან კეთილი ქრისტიანული რწმენა ისწავლა წმიდა იოანე ღვთისმეტყველის და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადებით. ასევე ვგულისხმობ კონსტანტინე დიდს – პირველ ქრისტიან მეფეს, რომელმაც ქრისტიანობა წმიდა პეტრეს და პავლესგან ისწავლა. წმიდათა შორის სახელგანთქმული გრიგოლ ღვთისმეტყველი იხსენებს, რომ ლიტურგიის შემდეგ მისთვის ძილში მრავალჯერ მიუცია რჩევა ბასილი დიდს. ბევრ სხვა მსგავს რამესაც ვპოულობთ უძველეს საეკლესიო ისტორიაში, რაც ცხადად გვიჩვენებს, რომ სულიწმიდის მიერ განათლებული მოზეიმე ეკლესია გულგრილი არ არის მიწაზე მებრძოლი ეკლესიის ჭირთა და იწროებათა მიმართ. ეს ასევე უჩვენებს, რომ წმიდანთა სულებს არ სძინავთ, როგორც ფრიად უგუნურად ფიქრობენ ზოგიერთები.*“

ამგვარად, იცოდნენ რა ყოველივე ეს და იყვნენ აღძრულნი ღვთის მიერ. რამეთუ ღვთის გარეშე ყველა რჩეულსაც კი ერთად არაფერი ძალუძს, – ძველი ეკლესიის წევრებმა იწყეს წმიდანთა სულების მოხმობა, რათა ეშუამდგომლათ მათთვის, და ამით ცხადყვეს, რომ სულები სხეულის გარეშეც გრძნობენ. რამეთუ ისინი (წმიდანთა სულები) უგრძნობელნი რომ ყოფილიყვნენ, მათ არ მოუხმობდნენ. ვინაიდან მათ სწამდათ, რომ მათში დავანებული სულიწმიდა უცხადებს მვედრებელთა გასაჭირს, ისინი თხოვდნენ წმიდანებს დახმარებოდნენ მათ ძმებს, და ეს დახმარება ცხადყოფს მათ ერთობას ჩვენთან. იგივე ერთობა ერთმანეთს შორის დაუდო მცნებად ეკლესიის წევრებს მოციქულმაც, რათა ყოფილიყვნენ ერთი სხეულის ასობივით ისე, რომ თუ ერთი მათგანი დაიტანჯებოდა, მისი ტანჯვა სხვებსაც გაეზიარებინათ. და თუ ჩვენ სხეულში – სულის ამ ტლანქ სამოსელში მყოფთ შეგვიძლია დავინახოთ მაღალი და სულიერი საგნები მხოლოდ ბუნდოვნად, გაუწმენდავ სარკეში ანარეკლივით, წმიდანებისთვის ეს მომავალი ჭეშმარიტებანი სრულყოფილად გაცხადებულია.

კირილე იერუსალიმელი წმიდანთა თაყვანისცემაზე ამბობს: „ჩვენ თაყვანს-ვცემთ წმიდანთა საფლავებს. პატიოსნად ვდღესასწაულობთ მათი ნათელი ღვაწლის ხსენებას. ჩვენ თაყვანს ვცემთ წმიდა მოღვაწეებს, რომლებმაც პატივი სცეს სარწმუნოებას და გვირგვინოსან-იქმნენ სიმამაცისთვის; იღვაწეს, საკუთარი სისხლი დასთხიეს და სიცოცხლე გაიღეს“.

ბასილი დიდი კი ამბობს: „ვინც მიეახლება მოწამის ძეგლებს, ერთგვარ განწმენდის ძალას მიიღებს (მოწამის) სხეულში დამკვიდრებული მადლისაგან. რამეთუ „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა“.

ასე სწამს აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ღვთის წმიდანთა თაყვანისცემისა და მათდამი ღოცვის შესახებ, მათითა ღოცვითა გვაცხოვნოს ქრისტემან, ღმერთმან ჩვენმან. ამინ.

როგორ შევუერთოთ სახელი ახალშობილს

სახელი – უბრალოდ ასოთა ერთობლიობა, თუ დაფარული შინაარსის გამოხატულება

ვეწლებრივ, ყველა ჩვენგანი რომელიღაც სახელს ატარებს. სახელით მოგვმართავენ, ჩვენი სახელები რეგისტრირებულია ჩვენს დოკუმენტებში, ჩვენც ვარქმევთ სახელებს საკუთარ შვილებს. როდესმე დაფიქრებულვართ, რა არის ეს – სახელი? შევეცადოთ, ვუპასუხოთ ამ კითხვას. სახელის თავდაპირველი აზრი ის გახლავთ, რომ ერთი ზუსტი სიტყვით, ან მოკლე ფრაზით ვცადოთ მოვიცვათ, აღვნიშნოთ ღრმა აზრი ამა თუ იმ საგნისა, გამოვარკვიოთ მისი არსობა, ვიპოვოთ მისი დამახასიათებელი თავისებურება.

სწორედ ამგვარად არის გაგებელი სახელი ძველ აღთქმაში. ადამიანის სახელი თუ საგნის დასახელება უმჭიდროეს კავშირშია მის შინაარსთან, არსთან: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტერისაგან და შთაბერა სული“ (დაბ. II, 7). პირველი ადამიანის სახელიც – *ადამი* ხომ *ადამიანს* ნიშნავს. „ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული“ (დაბ. II, 22-23). „უწოდა ადამმა თავის დედაკაცს ევა, რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა“ (დაბ. III, 20). აქ ვხედავთ, თუ როგორ აისახებოდა სახელის მნიშვნელობა მისი მატარებლის განსაკუთრებულ ფუნქციაზე წმიდა ისტორიისათვის.

ზოგჯერ სახელი შეიცვლებოდა ხოლმე. სახელის ცვლილება მიზნად ისახავდა ადამიანის მოწოდების ცვლილების აღნიშვნას: „ადარ გერქვას ამიერიდან სახელი *აბრაამი*, არამედ *აბრაამი** იყოს შენი სახელი. რადგან უამრავ ხალხთა მამად გაქცევ“ (დაბ. XVII, 5).

საინტერესოა, როგორ მიიღო ახალი სახელი – *ისრაელი* ძველი აღთქმის პატრიარქმა იაკობმა (*იაკობი* ნიშნავს *წაბორძიკებულს – ტყუპისცალს*, რომელიც მეორედ დაიბადა. მას თავის პირველად დაბადებული ძმა – ესავი ქუსლით ეჭირა). „მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას ვიღაც კაცი გათენებამდე. როცა შეატყო, რომ ვერ ერეოდა, შეეხო მის თეძოს სახსარს და ეღრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შერკინებისას. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი. უთხრა: ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე“ (დაბ. XXXII, 24-28).

მაშ ასე, სახელში ადამიანის მოწოდებაა ჩადებული. გარდა ამისა ისიც აღსანიშნავია, რომ პიროვნება და მისი სახელი ერთმანეთს განსაზღვრავს და ურთიერთდამოკიდებულია. აი, ამის მაგალითი ისევ ძველი აღთქმიდან: „ყურადღებას ნუ მიაქცევს ჩემი ბატონი იმ უკეთურ კაცს, რადგან როგორი სახელიცა აქვს, თავადაც ისეთია; ნაბალი* ჰქვია მას და ბილწებით არის სავსე (1 მეფ. XXV, 25).

მოტანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ ადამიანისთვის დარქმეული სახელის შინაარსი მის მატარებელთან ღრმა სულიერ „უკუკავშირს“ ვარაუდობდა.

ძველ აღთქმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უფლის სახელებს. უფალს ბევრი სახელი აქვს და თითოეული მათგანი მის ურიცხვ თვისებათაგან რომელიმეს გვიმჟღავნებს. თავად უფალი ეუბნება მოსეს: „მე ვარ უფალი. მე გამოვეცხადე აბრაამს, ისააკს და იაკობს, როგორც ყოველდღიური ღმერთი, ხოლო ჩემი სახელი – უფალი – არ გამიმხელია მათთვის“ (გამ. VI, 2). ახალ აღთქმაშიც არის უფლის ახალი სახელები: *მამა ზეციერი*, *სიყვარული* (1 იოან. IV, 16).

თავად უფალს ანგელოზის პირით იესო (მხსნელი) უწოდეს: „...და უწოდებდნენ სახელი მისი იესო... ემბანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩვენ თანა ღმერთი“ (მათ. I, 21,23).

უფრო ადრე ანგელოზი იოანე ნათლისმცემელის მამას – ზაქარიას გამოეცხადა, შვილის დაბადება ახარა და ისიც უთხრა, რა უნდა დაერქმიათ: *იოანე*, რაც *უფლის წყალობას* ნიშნავს. ყოველივე ამაში იმ ძველადთქმისეული ტრადიციის გაგრძელებას ვხედავთ, როდესაც ადამიანის სახელს მისი უფლისადმი დამოკიდებულება უნდა აესახა.

ამგვარი დამოკიდებულება სახელისადმი, როგორც პიროვნების გამოხატულებისადმი, ახასიათებდათ პირველ ქრისტიანებსაც. წმ. პანტელეიმონს, მაგალითად, თავიდან მშობლებმა *პანტელეონი* დაარქვეს, რაც ნიშნავს: *ყველაფერში ღობი*. ივარაუდებოდა, რომ სიმამაცით იგი ღობს ემგვანებოდა. მაგრამ მოგვიანებით მას სახელი გადაარქვეს და *პანტელეიმონი* უწოდეს, ესე იგი *ყოველადმოწყალე*. ვინაიდან იგი ყველასადმი გულმოწყალებას იჩენდა – სწეულებს უფასოდ კურნავდა, უპოვართ უხვად ასახუქრებდა და ასე შემდეგ.

ყოველივე ზემოთქმულიდან მნიშვნელოვანი დასკვნა კეთდება: სახელებს თავად ადამიანებიც არქმევდნენ (აღამ და ევამ თვითონ დაარქვეს სახელები თავიანთ შვილებს – აბელი, კაენი, სეითი); აგრეთვე უფალი არქმევს სახელს, როგორც, მაგალითად, ძველ აღთქმაში ისააკს დაარქვა და სხვ. ახალ აღთქმაში – იოანე ნათლისმცემელს და კიდევ მრავალ სხვას. ესე იგი წმიდა წერილი ადასტურებს მშობლების ნებას შვილისათვის სახელის დარქმევისას. ამავდროულად ამ საქმეში უფლის მონაწილეობასაც ვხედავთ. შეინიშნება, ასე ვთქვათ, ერთგვარი თანამშრომლობა უზენაესისა ადამიანთან სახელის არჩევის დროს, რაც საბოლოო ანგარიშით ერთადერთ მიზანს ისახავს: ადამიანის ღმერთთან დაახლოებას.

ქრისტიანული ერის დადგომის შემდგომ მშობლები ახალშობილს უკვე წმინდანის სახელს არქმევდნენ მის პატივსაცემად. ეს სახელები იქცნენ უკვე ახალ მეგზურებად, რომლებიც აკავშირებდნენ ადამიანებს ჭეშმარიტ ღმერთთან – ქრისტესთან მისი წმიდა სათნოყოფელების მეშვეობით, ვინაიდან, როგორც წმ. იოანე კრონშტადტელი ამბობს, „ღმერთი დავანებულია წმიდანებში და თავად მათს სახელებში“.

უღმერთო საბჭოთა ეპოქაში აქტიურად, საგულდაგულოდ ამოიძირკვა სახელთა სულიერი შინაარსი. სახელი გადაიქცა ასოთა პრიმიტიულ კოდად, როგორც რიგითი ნომერი, რომელიც მამის სახელთან და გვართან ერთად მოსახლეობის სახელმწიფო ინვენტარიზაციას ემსახურებოდა. თუმცა ადამიანი, როგორც უფლის ხატი, თავისი პიროვნებით ყოველთვის განასულიერებდა სახელს, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა წარეკვეთათ მისგან ღვთიური აზრი. რამდენადაც წმინდაა ამა თუ იმ სახელის მატარებელი, იმდენად მეტად წმიდაყოფს ის ამ სახელს. ქრისტიანი თავის სახელს თავისი ცხოვრებით აკურთხებს. კონკრეტულმა ადამიანმა პირადად თავისი სახელი უნდა წმიდაყოფს. ცხოვრება ღმერთის გარეშე, ეკლესიის გარეშე არის ცხოვრება სიწმიდის გარეშე, რომლის დროსაც სახელი კი არ განათლდება, არამედ საღვანდლოდ ხდება, კარგავს თავის ღვთიურ შინაარსს. მხოლოდ ეკლესიასთან ცოცხალი კავშირით – „ამ წმიდანთა საზოგადოებით“ – იძენს სახელი წმიდანის ღირსებებს.

მოდური და ძველმოდური, ლამაზი და ულამაზო სახელები

ბავშვის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე ოჯახში იწყება მსჯელობა სახელის შერჩევასთან დაკავშირებით. ამასთან დედ-მამასა და ბებია-პაპებთან ერთად არჩევანში აქტიურად ებმებიან ხოლმე გარეშე პირებიც – ნაცნობ-მეგობრები, თანამშრომლები და ა.შ.

ხშირად ადამიანებს ძალზე კატეგორიული დამოკიდებულება აქვთ რომელიმე სახელთან. ამასთან ვერ დაგისახელებენ ვერცერთ არგუმენტს, თუ რატომ უყვართ ესა თუ ის სახელი და სხვა – არა. რასაკვირველია, მათ წარმოდგენაც არა აქვთ სახელის იმ უაღრესად ღრმა მისტიკურ შინაარსზე, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. არ უყვართ და მორჩა! – ძველმოდურია ან უბრალოდ ულამაზოა, უხეშად უღერს და ასე შემდეგ.

სილამაზის აღქმა და საერთოდ დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი ადამიანებს სხვადასხვანაირი აქვთ. გემოვნებაზე ხომ არ დავობენ. რაც შეეხება მოდას სახელზე, ეს მართლაც საინტერესოა. ზოგ თაობებში რომელიმე სახელი ისე შემოვა მოდაში, რომ სხვა სახელებისთვის ადგილს თითქმის აღარ სტოვებს. ერთი ქალბატონი ყვებოდა: ჩვენს კურსზე იმდენი მანანა იყო, რომ მათ სახელს აღარც კი ვეძახდით და გვარებით მივმართავდით ხოლმეო. 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისზეა საუბარი, იმ დროზე, როდესაც არც წმიდანი ახსოვდა ვისმე, არც მისი სახელი და არც ამ სახელის მნიშვნელობა. „მოდაში“ სხვა სახელები იყო. ერთმა ქალბატონმა სხვა ამბავი მოყვა: „ჩემ ჯგუფში ერთი კარგი გოგო სწავლობდა. *სალომე* ეწერა პურნალში – ბებიის პატივსაცემად მისი სახელი დაურქმევიათ, მაგრამ რაღაც არ მოწონებიათ ეს

„ძველმოდური“ სახელი და მოდური *ჟანათი* ჩაუნაცვლებიათ. გოგონაც ამ სახელს ანიჭებდა უპირატესობას და სწავლა რომ დაიწყო, პირველივე დღეებში ყველა გაგვაფრთხილა, სალომე არა ვარ, ყველამ ჟანა დამიძახეთო. ჩვენ, რასაკვირველია, ასეც მოვიქცით. ლექტორების მეტი სალომეს არავინ ეძახდა. გამოხდა ხანი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჟანა აღარსად მინახავს. ამ რამდენიმე წლის წინათ შემხვდა და ჟანა რომ დავუძახე. გაიკვირვა – რაღა დროს ჟანაა... სალომე ვარო. თან სიცილით მითხრა, განვაგდე ჩემგან ჟანა, თურმე რა მფარველი მყოლია ზეცაში, მე კი ჟანას ვიყავი ჩამოკიდებულიო. მართლაც, უკეთესი მფარველი, ვიდრე მენელსაცხებლე დედა, ვინ უნდა ისურვო ადამიანმა. ჟანას კიდევ რა უჭირს. ლუკა, საბა, იოანე, თორნიკე და მისთანა სახელების ნაცვლად, რომლებიც დაუნდობლად გადააბარეს კომუნისტური ეპოქის ადამიანებმა ისტორიას დასავიწყებლად, შემოიღეს სრულიად სხვაგვარები, მაგალითად – ჯუსტანი (ჯულაშვილი სტალინი), ჯუსო (ჯულაშვილი სოსო), ვილენი (ვლადიმერ ილიას ძე ლენინი), დაზმირი (დასდრავსტუვეტ მიროვია რეკოლუცია), დისომი (დიდი სამამულო ომი), ლენ-სტან-ბერი (ლენინი-სტალინი-ბერია) და ამგვარი „საინტერესო“ და „ორიგინალური“ აბრევიატურები. ზეციური მფარველის ნაცვლად – მიროვია რეკოლუცია და ლენინ-სტალინი!.. კიდევ მეტი... გაოცება გაპყრობს, როდესაც იგებ, რომ ადამიანი შვილს იმ ადამიანის სახელს არქმევს, ვისაც თავი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან ბრძოლაში გამოუჩენია, არაერთხელ აუოხრებია (მაღლობა ღმერთს, შაჰ აბასი არავის დაურქმევია თავისი შვილისთვის). კონკრეტული მაგალითების მოტანას ზედმეტად მივიჩნევთ. ალბათ არ ჩაფიქრებიათ, ამ კუთხით არ შეუხედავთ საკითხისათვის, თორემ როგორ დაარქმევ შვილს, მაგალითად, იროდის, ადამიანის სახელს, ვინც თოთხმეტი ათასი ყრმა ამოწვევია იესო ქრისტესთან ბრძოლის ჟინით. რამდენი ასეთი მაგალითია.

როგორც იტყვიან, კაცია და გემოვნება... არის ქალბატონი ჩვენს ქალაქში (თბილისში), რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები... *ღემონი* ერქვა მთელი ცხოვრება. როდესაც გააცნობიერა, გადაირქვა, მაღლობა უფალს.

რასაკვირველია, ყველა ადამიანი თავის შვილს საკუთარი გემოვნებით ურჩევს სახელს. ზოგს მიაჩნია, რომ სახელი ბგერათა შემადგენლობით უნდა შეესატყვისებოდეს გვარს და მამის სახელს და არჩევანსაც ამის მიხედვით აკეთებს. ზოგი ფიქრობს, რომ გრძელ გვარს აუცილებლად მოკლე სახელი შეესაბამება და პირიქით. ზოგისთვისაც მნიშვნელოვანია ადამიანის გვარი, სახელი, მამის სახელის ინიციალები ერთნაირი იყოს და ასე...

ამგვარი ერთობ საეჭვო ფორმალური მიდგომების გარდა არსებობს სხვაგვარი ფაქტებიც: სახელს არქმევენ რომელიმე ღირსეული, მიბაძვის ღირსი ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად. სახელი ლამაზი გეჩვენება, თუ ის ლამაზ, ჭკვიან, კეთილშობილ ადამიანს გაგონებს, რომელსაც პირადად ან ლიტერატურიდან იცნობ. ალბათ იმიტომაც უღერს აგრე სასიამოვნოდ სახელები, რომლებსაც შესანიშნავი წინაპრები თუ თანამედროვენი ატარებდნენ. ზოგიერთები ამიტომაც მოიხიბლებიან ხოლმე ლიტერატურული პერსონაჟებით.

ადამიანის ცხოვრებამ შეიძლება სრულიად გარდაქმნას ჩვენთვის მისი სახელის შინაარსი და ხმიანობა. შესაბამისად, სახელის სილამაზე მეორადია, ის თავად ადამიანის სულიერი მშვენიერებიდან გამომდინარეობს.

მაღლობა უფალს, ზემოთ ნახსენები ჟანას მსგავსად ბევრი მოეგო გონს და ახლა ადამიანები ძირითადად წმიდანთა სახელებზე აჩერებენ არჩევანს, რასაც თავისი წესი აქვს.

რატომ უნდა ვარქმევდეთ შვილებს წმიდანთა სახელებს?

დავიწყოთ ცოტა შორიდან. ხმამაღლა ან გონებაში წარმოთქმულ რომელიმე სახელს თავისი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მე წარმოვთქვამ ჩემთვის ძვირფასი და მახლობელი ადამიანის სახელს და რაღაც წამისყოფაში თვალწინ წარმომიდგება მისი სახე, გონებაში გამიელვებს მისი ხასიათის და ცხოვრების განმასხვავებელი ნიშნები, მისი ჩემდამი დამოკიდებულება, მისი მსოფლმხედველობა. გულში რაღაც მითბება – ჩემში მისდამი სიყვარულის, სიმპათიის, სინაზის, სიბრალულის, პატივისცემის გრძნობა იღვიძებს. ერთი სიტყვით, სახელის წარმოთქმამ ჩემ სულში გააცოცხლა მისი ხატი მთლიანად – ფიზიკურად, სულიერად და ჩემი სული თითქოს აივსო ამ ხატით, შეერწყა მას. ეს უხილავი ერთობა ძალზე რეალურია და საკმაოდ ძალუმაღ მოქმედებს ჩემზე. დაეუშვათ ადამიანი, რომელიც გავისხენე, განსაკუთრებული სიცოცხლისმოყვარეობით გამოირჩეოდა და ჩემზე დადებითად მოქმედებდა. ახლაც, თუმცა ამ მოგონებამდე უხასიათოდ ვიყავი, სევდა მომრეოდა, მისმა გახსენებამ ჩემში სიცოცხლის სიყვარულის მუხტი შემოიტანა და ჩემი სევდა სიმხნევით შეიცვალა.

სახელის წარმოთქმას სახესთან ერთობისაკენ მივყავართ და ამა თუ იმ ხარისხით გონებისა და გულის განცდებზე აისახება. სახელდება ჩვენთვის რაღაცწილად თვით პიროვნების დედააზრია. აქედან გამომდინარე, მასთან ისეთივე დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, როგორც პიროვნებისადმი. აი, რატომ მიეცა ებრაელებს მცნება: „არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამოსა ზედა“

წმ. იოანე კრონშტადტელი გვასწავლის: „უკიდურესი მოწიწებით წარმოთქვი უფლის სახელი... ასევე წარმოთქვი იესო ქრისტეს – ძე ღვთისას სახელი... მოწიწებით წარმოთქვი ყოველადწმიდა ღვთისმშობლის სახელი.“

მოწიწებით წარმოთქვი ქრისტეს მოციქულთა სახელები, მის მსახურთა და თვითმხილველთა სახელები, რომელთაც მთელს მსოფლიოში განაგრცეს მისი სწავლება, აგრეთვე მოწამეთა, ღირსთა, უვეცხლოთა და ყველა წმიდანის სახელები“.

სახელი, – ეს თითქოს შუქია სახის დედააზრიდან. უფლის სახელს კი სულიერ სამყაროში იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ სამყაროში სინათლეს მცენარეებისა და ცხოველებისათვის. ამგვარად ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ წმიდა სახელების განმანათლებელ, მაკურთხებელ და განმწმენდ ძალას, რომელიც მოქმედებს ჩვენს სულზე, გონებასა და გულზე და ამით – მთელს ჩვენს ცხოვრებაზე.

ღირსი ამბროსი ოპტინელი სულიერ შვილს ანასტასიას ანგელოზის დღეს რომ ულოცავდა, სწერდა: „გულითადად გისურვებ, რომ იცხოვრო სახელის შესაბამისად. ნათქვამია: **რაც სახელია, ცხოვრებაც იმგვარი იქნება.** ცოტაოდენი ბერძნული ხომ იცი? *ანასტასია აღდგინებულს, აღდგომილს* ნიშნავს. მკვდრებით აღმდგარი ადამიანები კი აღარ კვდებიან და აღარც ცოდვები ბატონობენ მათზე. ო, ნეტავ ჩვენც ასე ვიყოთ!...“

სქემარქიმანდრიტი სოფრონი წერს ბერი სილუანის შესახებ: „სულიწმიდის სახელი, ისევე როგორც უფლის სახელები, მუდმივად იწვევდა მის სულში ცოცხალ გამოძახილს – სიხარულისა და სიყვარულის გრძნობას“.

აქედან შეგვიძლია გავიგოთ წმიდა სახელებითა და მცნებებით აღსავსე ლოცვის ძალა და მნიშვნელობა; გასაგები ხდება უფლის სიტყვებიც: „*სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ*“ (მარკ. XVI, 17), აგრეთვე იოლია წინასწარმეტყველის სიტყვები, თქმული პეტრე მოციქულის მიერ: „ყოველმან რომელმან ჰხადოს სახელსა უფლისასა, ცხოვნდეს“.

აი, საიდან არის იესოს ლოცვის ძალა, რომლის დროსაც უფალი იესოს წმიდათწმიდა სახელის განუწყვეტელი წარმოთქმა განწმენდს და შთააგონებს ქრისტიანის სულს და თრგუნავს ვნებებს. ამასთან, რაც უფრო ღრმად ჩაიბეჭდება ქრისტიანის გულში ქრისტეს სახება, მით უფრო მჭიდროა მისი სულის ზიარება უფლის სულთან, მით უფრო ძლიერია ლოცვის განმწმენდი ძალა. ღვთის, უფალი იესო ქრისტეს, სულიწმიდისა და წმიდა სამების სახელთა ზემოქმედებას მიედრება მათი სახელების მოქმედების ძალაც, ვისშიც სულიწმიდა დაემკვიდრება, ვის სულშიც „გამოსახება ქრისტე“ (გალ. IV, 19). როგორც წმ. იოანე კრონშტადტელი წერს: „უფალი დავანებულია წმიდანებში და მათს სახელებში, მათს გამოსახულებებში; საჭიროა მხოლოდ რწმენით მოიშველიო მათი გამოსახულებანი და ისინი სასწაულებს იქმან“.

მაკურთხებელი ბაღზამი იღვრება ჩვენს სულებზე დედა ღვთისმშობლის კეთილსურნელოვანი სახელის ხსენებისას, აგრეთვე უფლის უხორცო მსახურთა – მთავარანგელოზთა და ანგელოზთა დასის ყველა წმიდანის ხსენების დროს. ყველა ისინი აღამაღლებენ ქრისტიანის სულს და სიწმიდისა და სიმართლის სავანეში შეყავთ.

ადამიანის სულზე სახელთა ზემოქმედების შესახებ საუბრისას ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება უნდა გავითვალისწინოთ: ეს არის ერთგვარი „რეზონანსის“ კანონი; ანუ სხვაგვარად – როგორია სულის მზაობა მადლის მისაღებად. თუ გული მიისწრაფის სულიერი სინათლისაკენ, ყველა ნათელი სახელი და სახე ძალუმად იმოქმედებს მასზე, ღრმად იჭრება სულში და იქ ივანებს დიდი ხნით. და პირიქით, თუ გულს ეს სწრაფვა არა აქვს, მას არაფერი შეეხება, აზრები თითქოს ზედაპირზე გასრიალდება. ამიტომ არის, რომ სახეები და სახელები ლოცვაში ღრმად აღვლევებს და აღბობს გასუფთავებულ გულს და ახლოს არ ეკარება ადამიანს, რომლის გული ამსოფლიურ ამოებათ დაუპყრია.

როგორ შევარჩიოთ სახელი ღვთივსათნოდ?

წმიდა იოანე ოქროპირის გადმოცემით ქრისტიანთათვის წმიდანთა სახელების დარქმევის ტრადიცია ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში დამკვიდრდა. ნეტარი თეოდორიტეს მოწმობით კი ახლად ნათელდებულთათვის წმიდანთა სახელების წოდება საყოველთაო წესად მეხუთე საუკუნეში იქცა. ქრისტიანებმა კარგად უწყოდნენ წმიდანთა ღვაწლი უფლის წინაშე, მათი ღვთივსათნო საქმეები, ძლიერ უყვარდათ ისინი და თავიანთი შვილებისათვის მათი სახელების

დარქმევა დიდ პატივად მიიჩნდათ, მაგრამ როგორც ჩანს, ყველა ასე არ იქცეოდა, რადგან ჯერ კიდევ თოფანე დაყუდებული ჩიოდა, სახელებს ჩვენში არაღვთიურად არჩევნო. რას ნიშნავს არაღვთიურად და როგორ უნდა შევარჩიოთ სახელი ღვთიურად? განმარტებას თავადვე წმიდანი გვაძლევს: „აი, ღვთიურად როგორ უნდა: სახელი წმ. მამათა მიხედვით უნდა ამოირჩიოთ. რომელ დღესაც დაიბადება ყრმა, ან რომელ დღესაც ინათლება, ანდა ამ ორ მოვლენას შორის დროის მონაკვეთიდან შეარჩიეთ სახელი; ან ნათლობასთან ახლოს სამი დღის პერიოდიდან. ამ დროს გადამწვეტი ადამიანური მოსაზრება კი არ იქნება, არამედ როგორც უფალი მიგვანიშნებს, რადგან დაბადების დღეები უფლის ხელთ არის“.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ დღეს არწმევსლევს მშობლებს შეიღოს, უფალი სახელსეც მიუთითებს. უფლის ნების განსაზღვრას კი შევძლებთ მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, რომელშიც შეტანილია ეკლესიის მიერ განდიდებული ყველა წმიდანის სახელი. ეკლესიის განაწესით, ჩვილს ქრისტიანული სახელი ნათლობამდე ერქმევა, რაც ნათლობისათვის მოსამზადებელი მოქმედებაა. ძველ დროში სახელს ნათლობამდე ბევრად ადრე არქმევდნენ. ბავშვს ახლა სახელი ნათლობის დღეს ერქმევა.

კურთხევის მიხედვით ქრისტიანს სახელი დაბადებიდან მერვე დღეს ერქმევა, იესო მაცხოვარის მაგალითისამებრ, რომელსაც სახელი იესო დაბადებიდან მერვე დღეს ეწოდა (ლუკ. II, 21).

ზოგჯერ ყრმას იმ წმიდანის სახელს არქმევდნენ, ვისი ხსენებაც მისი ნათლობის დღეს იყო. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ეკლესიის განაწესით, ბავშვს სახელს დაბადებიდან მერვე დღეს არქმევდნენ და რადგან ნათლობის საიდუმლო ამ დღეს აღესრულებოდა, სახელსაც სწორედ იმ წმიდანისას ირჩევდნენ, რომლის ხსენებაც ამ დღეს იყო. ესე იგი, ჩვილს სახელად ან იმ წმიდანის პატივსაცემად არქმევდნენ, რომლის ხსენებაც მისი დაბადების დღეს იყო, ან – სახელის დარქმევის, ანდა – მონათვლის დღეს. გოგონებისათვის რამდენიმე დღე წინ ან უკან გადაწევა შეიძლებოდა, თუკი ზუსტად ამ დღეებში რომელიმე წმიდა დედის ხსენება არ იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანები ბოლო დროს უბრუნდებიან ძველ ადათ-წესებს შვილის სახელის შერჩევის დროს, რაც რასაკვირველია ძალზე სასიამოვნოა.

როგორ განვსაზღვროთ ჩვენი ანგელოზის დღე?

წმიდანები, რომელთა სახელებსაც ვატარებთ, ჩვენს ანგელოზებად იწოდებიან, ხოლო მათი ხსენების დღე ჩვენი ანგელოზის დღეა.

ნათლობის დროს სახელს ირჩევენ საეკლესიო კალენდრიდან, რომელშიც ყოველი დღე ამა თუ იმ წმიდანისადმია მიძღვნილი. ზოგჯერ ერთ სახელს რამდენიმე წმიდანი ატარებს. ამგვარ შემთხვევებში როგორ უნდა განვსაზღვროთ, რომელია ჩვენი მფარველი. ძირითადად ადამიანის მფარველია ის წმიდანი, რომლის ხსენების დღეც მის დაბადების დღის შემდეგ ყველაზე ახლოს არის. კარგია მფარველი წმიდანის დადგენა მღვდელთან შეთანხმებით მოხდეს. რასაკვირველია, ყველა ის წმიდანი, რომლის სახელსაც ატარებს ადამიანი, მისი მფარველია და გარდა ამისა, ხან ერთი წმიდანის ხსენება წლის განმავლობაში რამდენჯერმე აღინიშნება. ამ შემთხვევაშიც თქვენი ანგელოზის დღე თქვენი დაბადების დღის შემდგომი უახლოესი დღე იქნება.

ეს წესები რეკომენდებულია, მაგრამ სავალდებულო არ არის. სურვილის მიხედვით ყველას შეუძლია ამოირჩიოს ზეციური მფარველი თავის თანამოსახელე წმიდანთაგან.

ნათლობის დროს დარქმეული სახელი აღარ იცვლება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორც არის, მაგალითად, მონაზვნად შედგომა. ნათლობის დროს შერქმეული სახელით ქრისტიანი ატარებს მთელს თავის მიწიერ ცხოვრებას და ამ სახელით გადადის მარადისობაშიც. ეს სახელი მოიხსენება ეკლესიაში ადამიანის გარდაცვალების შემდგომაც მისი სულის საოხად აღვლენილ ღოცვებში.

ახალშობილისათვის სახელის დარქმევასთან დაკავშირებით ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ერთგვარი გაუგებრობანი. მაგალითად: დღესდღეობით ჩვენში ნათლობას წინ უსწრებს სამოქალაქო რეგისტრაცია, რომლის დროს დაბადების მოწმობაში იწერება მშობლების მიერ ბავშვისათვის შერჩეული სახელი. თუ შემდგომ აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სახელი მართლმადიდებლურ თვეში არ მოიძებნა, მისი შეცვლა ნათლობის დროს ყოველთვის აუცილებელი არ არის. ზოგჯერ ბავშვს არქმევენ სინამდვილეში მართლმადიდებლურ სახელს, რომელსაც დასავლეთეუროპული, ან ადგილობრივი ქდერა აქვს. ასეთ შემთხვევაში მღვდელს ეს სახელი ეკლესიურ ფორმაში გადაყავს, რასაც წინასწარ აცნობებს მშობლებს (ან მოსა-ნათლს). მაგალითად, ჟანა იოანა გახდება, აგრაფინა – აგრიპინა, მარტა – მართა, აკიმი – იოაკიმე, გოგი – გიორგი, ნუნუკა – ნინო და ასე შემდეგ.

როდესაც ამგვარი შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია (მაგ. ედუარდი, კარლო, ელვირა და ა. შ.), მღვდელი მოსანათლს ან მის მშობლებს ურჩევს, რომ თავად აირჩიოს მართლმადიდებლური

სახელი, რომელიც უკვე წინა, ძველი სახელის მსგავსი იქნება ხმოვანებით, და რომელიც ამიერიდან მისი ეკლესიური სახელი იქნება.

უკვე მონათლული ადამიანისათვის სახელის გადარქმევის რაიმე ეკლესიური წესი არ არსებობს. სახელის გადარქმევის მსურველი ემზადება წმ. ზიარებისათვის. აღსარების და ზიარების შემდგომ მღვდელი სახელს არქმევს, რომელიც უკვე უცვლელი რჩება და ყოველი საიდუმლოს აღსრულებისას მოიხსენიება.

ხშირად ხანდაზმულმა ადამიანმა არ იცის, თუ რომელი წმიდანის სახელი ეწოდა მას ნათლობისას. წმიდა ეკლესია ურჩევს ასეთ ადამიანს, ყურადღებით შეისწავლოს წმიდანთა ცხოვრება, ილოცოს ღვთისა და მათ წინაშე და რაც შთაგონება, ის მიიღოს. ასე შეიძენს ის ზეციურ მფარველს და მომავალში მის წინაშე ილოცებს, როგორც ანგელოზისადმი.

მაცხოვრის სახელისადმი დიდი მოწიწებისა და კრძალვის გამოსახატად მართლმადიდებელი ქრისტიანები იესოს არავის არქმევენ. ასევე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებითაც. სახელი *მარიამი* ხშირად გვხვდება ქრისტიანთა შორის, ოღონდ მარიამ მაგდალინელის, მარიამ მეგვიპტელის ან სხვა წმიდანთა პატივსაცემად.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ, რომ მოვა დრო, როდესაც ყოველი სასუფეველში მყოფი მიიღებს საიდუმლო, მხოლოდ თავად ღვთისა და მისი მიმღებისათვის ცნობილ სახელს, რომელიც ადამიანის მთელი საიდუმლოს მომცველი და მასზე ყველაფრის მთქმელი იქნება. ეს ასახავს უფალსა და მის ყოველ განუმეორებელ ქმნილებას შორის არსებულ ერთადერთ, ასევე განუმეორებელ დამოკიდებულებას.

როგორ აღნიშნოთ ჩვენი ანგელოზის დღე?

ეს განსაკუთრებული დღეა. ჩვენ ვდღესასწაულობთ აქ, მიწაზე ჩვენი წმიდანის დღეს, რათა, როგორც წმიდა იოანე კრონშტადტელი გვასწავლის, „ჩვენმა წმიდანებმაც გაავისხენონ და გვიშუამდგომლონ უფლის წინაშე... ეს უპირატესი დღე უნდა იყოს ჩვენთვის სხვა სადაც დღეებთან შედარებით. ამ დროს გული და მხერვა ზეცას უნდა მივაპყროთ უფლისადმი ღრმა მადლიერების გრძნობით და ერთხელ კიდევ გავიაზროთ, რომ სწორედ იქ არის ჩვენი სამშობლო და მამა, რომ მიწა სამშობლო კი არ არის, არამედ – დროებითი სამყოფელი და რომ ხრწნად ნივთებზე მიჯაჭვა უაზრობაა, ცოდვაა, უფლისათვის საძაგელია... რომ უფალს მთელი გულით უნდა მივეჯაჭვოთ“.

ზოგიერთი ქრისტიანი თავისი დაბადების დღის პომპეზურად და ზარ-ზეიმით აღნიშვნას არჩევს მფარველი წმიდანის ხსენების დღე აღნიშნოს და ამით მიაგოს მას პატივი. კარგია ახლობელთა შორის სადღესასწაულო ტრაპეზის გაშლა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ანგელოზის დღე მარხვის დღეს ემთხვევა, სუფრა სამარხვო უნდა იყოს. დიდმარხვის დროს ტრაპეზი უახლოესი შაბათ-კვირისათვის, ანდა საერთოდ ბრწყინვალე შვიდეულისათვის, გადააქვთ.

ანგელოზის დღის აღნიშვნა მხოლოდ მეგობრული სუფრით არ უნდა შემოიფარგლოს.

მართლმადიდებლები ამ დღეს ეკლესიაში მიდიან, წინასწარ ემზადებიან და ეზიარებიან წმიდა საიდუმლოს.

და, რაც მთავარია, როგორც წმიდა ეკლესია გვირჩევს, მუდმივი კონტაქტი გვქონდეს ჩვენს ზეციურ მფარველებთან, როგორც ანგელოზებთან, ასევე წმიდანებთან; ხშირად უნდა მივმართოთ მათ ლოცვით, როგორც ყველაზე საყვარელ და ახლობელ, ჩვენზე მზრუნველ და ერთგულ არსებებს.

წმ. იოანე კრონშტადტელის აზრით „აუცილებელია ზეპირად ვიცოდეთ ჩვენი წმიდანის ტროპარი. გავხსოვდეს: „*მსგავსი მსგავსსა ეძიებს*“.

კარგია ვისწავლოთ აგრეთვე ჩვენი წმიდანის კონდაკი. წმიდანების წინაშე ლოცვის დროს უპირატესად სულიერი შემწეობა უნდა ვითხოვოთ, დანარჩენი მიწიერი სურვილების გამოთქმის დროს კი ყოველთვის უნდა დავამატოთ: *ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ!*

ჩვენ ვატარებთ წმიდანთა სახელებს, რომელთაც მიწაზე თავიანთი მოწოდება განახორციელებს. ჩვენ მათადმი ვართ მიძღვნილნი, როგორც წმიდანის სახელზე აგებული ტაძრები. ამიტომ უნდა ჩავუფიქრდეთ წმიდანის პიროვნებას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი მისი ცხოვრება გვაძლევს ამის საშუალებას, ვინაიდან იგი მხოლოდ მეოხი კი არ არის ჩვენი, არამედ – იმის ერთგვარი სახე, თუ რანი შეიძლება გავხდეთ. სხვისი ცხოვრების გამეორება შეუძლებელია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ისწავლოთ ამა თუ იმ წმიდანის ცხოვრების მაგალითზე, თუ როგორ იცხოვრო ღირსეულად, ღვთისათნოდ.

თავისთავად ხომ ძვირფასია იმ ადამიანების ხსოვნა, ვინც საერო ცხოვრებაში, ამსოფლიური მოღვაწეობის სარბიელზე თავი გამოიჩინა საგმირო საქმეებით ან სხვა დამსახურებით; მით უმეტეს ძვირფასია მათი ხსოვნა, ვინც თავისი წმიდა ცხოვრებით სათნო ეყო უფალს, მთელი

გულით შეიყვარა ის და თავი დადო მისთვის, ანდა ცხოვრების ბოლომდე ღირსეულად ემსახურა მას.

ნებისმიერი ადამიანი მეორე ადამიანს მხოლოდ მაშინ მიაგებს ჯეროვან პატივს, როდესაც კარგად იცნობს მის ცხოვრებასა და საქმეებს. ასეა სულიერ ცხოვრებაშიც – თუ წმიდანის ღვაწლს კარგად არ იცნობ, სრულყოფილად ვერ შეაფასებ მას. ამიტომ ქრისტიანი უნდა ეცნობოდეს წმიდანთა მოღვაწეობას, რათა ღირსეულად შეაფასოს მათი ღვაწლი და აქედან გამომდინარე მიაგოს მათ სათანადო პატივი და თაყვანისცემა; წმიდანთა ცხოვრების ცოდნა ადამიანს შვილისათვის სახელის ამორჩევაშიც დაეხმარება.

წმიდანთა სახელები იმიტომაც გვეძლევა, რომ მათი წმინდა ცხოვრება და ღვთისათვის სათნო ღვაწლი მუდამ მაგალითად გვექონდეს თვაღწინ. ეს მაგალითი ბევრს გვაგაღებულებს – ჩვენ მათთან მარტო სახელი კი არ უნდა გვამსგავსებდეს, არამედ – ცხოვრება და ღვაწლიც. ჩვენ მათი სახელის ტარების ღირსნი უნდა ვიყოთ.

როგორ შეეწევა ზეციური მფარველი ადამიანს

ქრისტიანობამ იცის უამრავი შემთხვევა, როდესაც წმიდანები სასწაულებრივად შეეწოდნენ თავიანთ თანამოსახელეთ. ამჯერად გავიხსენოთ მხოლოდ წმიდა ნიკოლოზთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევა.

ერთი ჭაბუკი, სახელად ნიკოლოზი, მიიმე სენს შეეპყრა. მკურნალობდა, მაგრამ სენი უკან არ იხევდა. პირიქით, უფრო და უფრო ცუდ დღეში ვარდებოდა. ბოლოს კიდურები ისე დაეკრუნხა, რომ სიარულს ვეღარ ახერხებდა და ხოხვითლა მოძრაობდა. რაც რამ ებადა, ყველაფერი ექიმებთან სიარულში დახარჯა, მაგრამ ამოდ...

ერთხელ, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, დაინახა წმიდანის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი ხალხი და თვითონაც, რის ვაი-ვაგლახით, ხოხვით გაემართა ტაძრისკენ. გზად თავად წმიდა ნიკოლოზი გამოეცხადა და თანაგრძნობით ჰკითხა, რა უჭირდა და სად მიდიოდა.

ჭაბუკმა მოახსენა თავის გაჭირვება.

– თუ გსურს, რომ გამოჯანმრთელდე, გამომეყვი... – უთხრა ნათლით შემოსილმა მოხუცმა, ეკლესიამდე მიიყვანა და გაუჩინარდა.

ჭაბუკი ტაძარში შეხობდა და სანთელი დაანთო. უეცრად მან თვალი მოკრა წმიდა ნიკოლოზის ხატს და მიხვდა, ვინც მიაცილა ტაძრამდე. მან გულმხურვალე ლოცვა დაიწყო:

– წმიდაო ნიკოლოზ, გთხოვ, გემუდარები, შემისრულე დანაპირები, ხომ მითხარი, წამომეყვი და განიკურნებო... გთხოვ, განმკურნე!

დიდხანს ლოცულობდა. მერე გარშემო მყოფთ სთხოვა ფეხზე წამოეყენებინათ და წმიდა ნიკოლოზის ხატთან მიეყვანათ. იგი ხატს ეამბორა, ჩაეხუტა, თან გაუჩერებლად ჩურჩულებდა: „მხურვალე მეოხო, შემიწყალე მე“.

ჭაბუკმა იგრძნო, რომ მის სხეულში სასწაული ხდებოდა – კიდურები ნელ-ნელა გაუსწორდა, წელში გაიმართა, პირჯვარი დაუხმარებლად გადაიწერა და წმიდანის კანდელიდან ზეთი იცხო... სახელში უკვე დამოუკიდებლად, საკუთარი ფეხით დაბრუნდა სრულიად გამოჯანმრთელებული.

ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში ერთი ხელოსანი, სახელად ნიკოლოზი. მას განსაკუთრებით უყვარდა წმიდა ნიკოლოზი, გამორჩეულ პატივს მიაგებდა მას და ყოველ წელიწადს აღნიშნავდა მისი ხსენების დღეს, ანუ თავისი ანგელოზის დღეს.

ნიკოლოზი მოხუცდა, ძველებურად მუშაობა აღარ შეეძლო და გაჭირვებაში ჩავარდა.

ახლოვდებოდა წმ. ნიკოლოზის დღესასწაული. ნიკოლოზს და მის ცოლს არაფერი ჰქონდათ, რით აღენიშნათ მათთვის ესოდენ საყვარელი დღე და დამწუხრდნენ. ბოლოს შეთანხმდნენ, შვილებიც არ გვეყავს, მემკვიდრეობა ვის დაუტოვოთ და მოდი, ხალიჩა გავყიდოთ საყვარელი წმიდანის საამებლად და აღებული ფულით ვიზვიმოთო.

მოხუცმა ხალიჩა აიღო და ბაზრისაკენ გაემართა. გზად სათნო გარეგნობის მოხუცი შემოხვდა და დაინტერესდა, სად მიდიოდა იგი.

– ხალიჩა უნდა გავყიდო, – უპასუხა ნიკოლოზმა.

– რას აფასებ? – ჰკითხა ისევ უცნობმა.

– ადრე 8 ოქრო ღირდა, ახლა რასაც მომცემ ავიღებ...

უცნობმა 6 ოქრო შესთავაზა. მოხუცმა სიხარულით გამოართვა. ამასობაში მათ ხალხი შემოეხვია გარს, რომლებიც ნიკოლოზს დასცინოდნენ, საკუთარ თავს ელაპარაკებო – ისინი ვერც წმიდანს ხედავდნენ და არც მისი საუბარი ესმოდათ.

შინ დაბრუნებულ ხელოსანს უცნაური ამბავი დახვდა. ვიღაც უცნობ დარბაისელ კაცს ხალიჩა მოეტანა და მისი ცოლისთვის უთქვამს, შენმა ქმარმა გამომატანაო. ცოლი განაწყენდა, რადგან იფიქრა, რომ მის ქმარს ხალიჩა გასაყიდად დაენანა. მოხუცი მიხვდა, ვინც იყიდა მისგან ხალიჩა და ყველაფერი ცოლს უამბო, თან აღებული ფულით ნაყიდი სურსათი, ღვინო, სეფისკეურები და სანთლები უჩვენა.

ამბავი სასწრაფოდ მოედო მთელ ქალაქს. როდესაც მომხდარი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შეიტყო, ბრძანა წმ. სოფიას ტაძრის შემოსავლიდან მოხუცი ცოლ-ქმრისთვის სიცოცხლის ბოლომდე დახმარება დაენიშნათ.

ეს ამბავი კი ჩვენთან მოხდა.

თბილისში ახლა ნიკოლოზი სტუდენტია. მაშინ კი ახალშობილი იყო, რომელზეც ოჯახს მზე და მთვარე ამოსდიოდა. დედამისი ყვება: ბავშვს თვალიდან ჩირქის დენა დაეწყო – ცრემლის საღინარი იყო დაზიანებული. არ დაგვიტოვებია არავინ და არაფერი – ექიმი, საავადმყოფო, პროცედურები, წამლები, საფენები, ინექციები... შედეგი – ნული. ზოგჯერ თითქოს ცოტა გამოსწორდებოდა ხოლმე მდგომარეობა, მაგრამ მერე ისევ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. სასოწარკვეთას აღარაფერი მაკლდა...

მაშინ ეკლესიურად არ ვცხოვრობდი და ამიტომ აზრადაც არ მომხვლია საშველის ამ მიმართულებით ძიება. ერთ დღეს ერთმა ნაცნობმა მირჩია, წადი ეკლესიაში და წმიდა ნიკოლოზს სთხოვე, გიშველოსო... იმედს მოვებლაუჭე და ასეც მოვიქეცი. ქაშუეთის ეკლესიაში შევედი. ან იმ დღეს რა დამავიწყებს ოდესმე, ან იმ ხატს... სასწაულთმოქმედი ხატია. მაშინ ესეც არ ვიცოდი. შევედი და გულით შევთხოვე შვილის განკურნება, რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვებით, როგორც შემეძლო.

იმავე საღამომადან უკუიქცა ავადმყოფობა. ორ დღეში ჩირქის კვალიც აღარ იყო და მას მერე არც არავის უნახავს ნიკას თვალზე.

მრავალგვარია ჩვენ ზეციურ მფარველთა შემწეობა მიწაზე დარჩენილთა მიმართ.

ხშირად წმიდანები მიწაზე თავიანთ ნებას იმ მღვდელმსახურთა ხელით ახორციელებენ, რომლებიც მათს სახელს ატარებენ. წმიდა გიორგის ცხოვრებაში შემორჩენილია ერთი ამბავი – „საკვირველებაცა იგი წმიდისა მოწამისა გიორგისა“, როგორც აღწერს ამას უამთა აღმწერელი, „რომელი მოგვითხრა ღვთივ-სათნოთა მონაზონთაგანმა ვინმე ამბა გიორგი, რომელსა აქუნდა შემწედ სეხნა თვისი წმიდა დიდი მოწამე იგი“ (თუნდაც ამ სიტყვებიდანაც ჩანს ნათლად, რომ მორწმუნეებმა ყოველთვის კარგად უწყოდნენ, რომ ყველას შემწედ ზეცაში ჰყავდა „სეხნა თვისი“).

წმიდა დიდმოწამე გიორგის „სეხნას“ მონათხრობი კი ასე გამოიყურება: ერთხელ მთაში მიმავალ ამბა გიორგის ხელში ჯვარი ეჭირა. გზად მოხუცებული მონაზონი შეხვდა. მან ჯვარი გამოართვა ამბას და წინ გაუძღვა. მიადგნენ ცხვრის ფარას. იქ ნახეს გველისაგან დაკბენილი მომაკვდავი ბიჭი, რომელიც უკვე სულს ღაფავდა. მონაზონმა უთხრა გიორგის: „აღმოიხვე წყალი და განვბანოთ ჯვარი“. ასეც მოიქცნენ შემდეგ ბიჭს პირი გაადებინეს და ჯვრის ნაბანი წყალი პირში ჩაასხეს; თან მოხუცმა თქვა: „სახელითა ყოვლად წმიდისა სამებისათა განკურნებს შენ, მონასა ღმრთისასა, წმიდა დიდი მოწამე გიორგი“. ბიჭს ფერი მოუბრუნდა, ფეხზე წამოდგა და მთელი გესლი სრულად წამოარწვია.

მონაზონმა ბიჭს უთხრა, როგორ იყო, გუშინ საცოდავი ქვრივის ცხვარი სამ ვერცხლად რომ გაყიდე და ის კი მოატყუე, მგელმა შეჭამაო?..

გაოცებულმა ბიჭმა აღიარა, სწორედ აგრე იყო, მაგრამ შენ საიდან იციო?

და მონაზონმა საოცრება თქვა: „ჩემ სენაკში ვიჯექი, რომ „მოვიდა ჩემდამო კაცი თეთრითა ცხენითა“ და მითხრა, ადექი და სასწრაფოდ წადი შენგან მარჯვნივ სამხრეთით წყაროზე. გზად შეგხვდება მონაზონი ჯვრით ხელში და გველისაგან დაგესლილი ბიჭი. გამოართვი ჯვარი, განბანე წყლით და ნაბანი წყალი ბიჭს დააღვინე. თან თქვი: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა განკურნებს შენ მონა ღმრთისა მოწამე გიორგი“. მერე ბიჭს უთხრა: „ტყუილად აღარასოდეს დაიმოწმო უფლის სახელი, აღარც სიმრუდე ჩაიღინო და ქვრივსაც თავისი ცხვარი დაუბრუნე, რათა ცუდი აღარაფერი შეგემთხვას“.

შემინებული ბიჭი მოხუც მონაზონს ფეხებში ჩაუვარდა.

– შემინდე, მამაო... ზუსტად მასე იყო. ცხვარი რომ გაყიდე და ქვრივს ვეცრუე, მგელმა შეჭამა-მეთქი, მან არ დამიჯერა; „ჭეშმარიტ არს იგი, ანუთუ ტყუილი?“ – მკითხა. მეც

დაუფიქრებლად ვუპასუხე: „ჩემდა არს წოდება ღმრთისა ჭეშმარიტისა“. მაშინ ქვრივმა მითხრა, ღმერთი გამოიძიებს ტყუილს ამბობ თუ მართალს, რამეთუ ეგ ცხვარი წმიდა გიორგის დღესასწაულზე გლახაკათავის მისაცემად მქონდა აღთქმულიო. გევედრები მამაო, სთხოვე ღმერთს და წმიდა გიორგის, შემინდონ ცოდვა და გპირდები, სამ ცხვარს მივუყვან ქვრივს წმ. გიორგის დღესასწაულისთვის და თანაც ამიერიდან მე თავადაც გაგცემ ხოლმე გლახაკათავის ჩემს საკუთარ ცხვრებსო. ასე მიიღო შენდობა სრულიად განკურნებულმა ბიჭმა და ჰმადლობდა უფალს და წმიდა გიორგის.

წმიდანები სხვადასხვაგვარად იწოდებიან: *წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, აღმსარებელნი, მღვდელმთავარნი, ღირსნი, უგერცხლონი, ნეტარნი, მართალნი.*

წინასწარმეტყველნი არიან წმიდანები, რომლებიც სულიწმიდის შთაგონებით წინასწარმეტყველებდნენ მომავალს. მათი წინასწარმეტყველებანი უპირატესად ეხებოდა მაცხოვრის მოსვლას, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომას. ისინი ცხოვრობდნენ მიწაზე მაცხოვრის მოსვლამდე.

მოციქულნი არიან ქრისტეს უახლოესი მოწაფეები, რომლებსაც იგი თავისი მიწიერი ცხოვრებისას საქადაგებლად აგზავნიდა, სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ კი მათ ქრისტიანული რწმენა მთ ელ მსოფლიოში გაავრცელეს. თავდაპირველად ისინი იყვნენ თორმეტი, შემდეგ მათ კიდევ სამოცდაათი მიემატა. მოციქულთაგან ორნი – *პეტრე* და *პავლე* მოციქულთა თავებად იწოდებიან, რადგან მათ სხვებზე მეტად იღვაწეს ქრისტეს რწმენის საქადაგებლად.

მოციქულთასწორებად იწოდებიან წმიდანები, რომლებმაც მოციქულთა მსგავსად ქრისტეს რწმენა სხვადასხვა ქვეყანაში გაავრცელეს. ესენი არიან, მაგალითად, კეთილმორწმუნე მეფე კონსტანტინე და დედოფალი ელენე, ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, კეთილმორწმუნე მთავარი ვლადიმირი და წმიდა ოლღა, წმიდა მარიამ მაგდალინელი, პირველმოწამე თეკლა და სხვები.

მოწამენი არიან ქრისტიანები, რომლებმაც იესო ქრისტეს რწმენისათვის დაითმინეს საშინელი ტანჯვა-წამება და სიკვდილიც კი. ხოლო თუ მათ მიერ გადატანილი ტანჯვის შემდეგ ისინი მოგვიანებით მშვიდობით აღესრულნენ, მათ უწოდებენ *აღმსარებლებს*. სხვებზე ადრე ქრისტესთვის ეწამნენ მთავარდიაკონი სტეფანე და წმიდა თეკლა, რის გამოც მათ **პირველმოწამეებს** უწოდებენ.

წმიდა სარწმუნოებისთვის განსაკუთრებით მძიმე ტანჯვა-წამების შემდეგ აღსრულებულნი იწოდებიან **დიდმოწამეებად**: მაგალითად, წმიდა დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგი, წმიდა დიდმოწამენი ბარბარე, ეკატერინე და სხვები.

წმიდა მღვდელმთავარნი არიან ეპისკოპოსები, რომლებიც თავიანთი მართალი ცხოვრებით სათნო-ეყვნენ ღმერთს და ემსახურნენ ქრისტეს ეკლესიას, მაგალითად, წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, წმიდა იოანე ოქროპირი და სხვები.

მღვდელმთავარნი და მღვდელნი, რომლებმაც დაითმინეს ქრისტესთვის ტანჯვა, იწოდებიან **მღვდელმოწამეებად**.

ღირსნი არიან მართალი ადამიანები, რომლებიც განეშორებოდნენ ამ სოფელს და უდაბნოებსა და მონასტრებში მარხვით, ლოცვითა და უბიწო ცხოვრებით სათნო-ეყოფოდნენ ღმერთს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ღირსი ანტონი დიდი, ღირსი მარიამ მეგვიპტელი, ღირსი იოანე ზედაზნელი და ბევრი სხვა.

ღირსნი, რომლებმაც დაითმინეს ქრისტესთვის ტანჯვა, იწოდებიან **ღირსმოწამეებად**.

მართალნი იყვნენ დაოჯახებულები, რომლებიც ღვთისათნოდ ცხოვრობდნენ ერში, როგორც, მაგალითად, წმიდა მართალნი იოაკიმე და ანა და სხვები.

პირველი მართალნი მიწაზე, ადამიანთა მოდგმის ფუძემდებელნი (პატრიარქნი), იწოდებიან **მამათმთავრებად**. მაგალითად, ადამი, ნოე, აბრაამი და სხვები.

უგერცხლონი უსასყიდლოდ, ისე, რომ თავიანთი შრომისათვის გასამრჯელოს არ ითხოვდნენ, კურნავდნენ ხორციელ და სულიერ სნეულებებს. ასეთები არიან, მაგალითად, კოსმა და დამიანე, კვიროს და იოანე და სხვები.

საღლოსები, *ანუ ქრისტესთვის სულელნი* არიან ადამიანები, რომლებიც ქრისტეს გულისათვის სოფელს გარეგნული ყოფა-ქცევით გიჟებად ეჩვენებიან, მაგრამ სინამდვილეში სულიერი სიბრძნით არიან აღვსილნი.

თარგმანი

ირაკლი კამკამიძე
გაღინა ხარებაშვილი

რედაქტორი

ლადო წამაღაშვილი